პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

პარასკევი
23
აგვისტო
1935 წ.
№ 196 (4352

ამიერ-კავკასიისა და საქართველოს დედა-ქალაქი—ტფილისი მიესალმება ფიზიოლოგთა **XV** საერთაშორისო კონგრესის დელეგატებს

La capitale de Transcaucasie et de Géorgie—Tiflis salue les délégués du XV Congrès International de Physiologie

Столица Закавказья и Грузии—Тифлис приветствует делегатов XV международного конгресса физиологов

ამხ. გიორგი დიმიტროვის საბოლოო სიტყვა

კომინტერნის VII მსოფლიო კონგრესის დახურვის წინ

(ამხ. დიმიტროვის გამოჩენას ტრიბუნაზე მთელი დარბაზი მქუხარე ოვაციით ხვდება. დელეგატები ფეხზე დგებიან და მხურვალე ტაშით მიესალმებიან. ისმის დელეგაციათა მისასალმებელი შეძახილები: „როტფრონტ“, „ბანსუეი“, „ურა“, „გაუმარჯოს ამხანაგ დიმიტროვს“. ორკესტრი ასრულებს ტუშს. ოვაცია რამდენიმე წუთს გრძელდება).

ამხანაგებო!

კომუნისტური ინტერნაციონალის მე-7 მსოფლიო კონგრესი, ყველა ქვეყნის და მსოფლიოს ყველა კონტინენტის კომუნისტთა კონგრესი, ამთავრებს თავის მუშაობას.

რა შედეგები აქვს კონგრესს, რას წარმოადგენს კონგრესი ჩვენი მოძრაობისათვის, მსოფლიო მუშათა კლასისათვის, ყველა ქვეყნის მშრომელთათვის?

ეს კონგრესი იყო **გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის—საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისა და კაპიტალისტური მსოფლიოს პროლეტარიატის—თავისი განთავისუფლებისათვის მებრძოლ პროლეტარიატის ერთიანობის სრული ზეიმის კონგრესი.** სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება, იწვევს მძლავრ მოძრაობას სოციალიზმისკენ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. ეს გამარჯვება განამტკიცებს ხალხთა შორის მშვიდობიანობის საქმეს, ამასთან ადიდებს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო წონას და მისი, როგორც მშრომელთა მძლავრი დასაყრდენის, როლს მათ ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ, რეაქციის და ფაშიზმის წინააღმდეგ. იგი განამტკიცებს საბჭოთა კავშირს, როგორც მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ბაზას. მას მთელს მსოფლიოში მოძრაობაში მოჰყავს არა მარტო მუშები, რომლებიც უფრო და უფრო მიიწევენ კომუნიზმისაკენ, არამედ გლეხთა, ქალაქის წვრილ მშრომელთა მილიონებიც, ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი, აგრეთვე კოლონიების დამონებული ხალხები; იგი აღაფრთოვანებს მათ საბრძოლველად, ადიდებს მათ სიყვარულს ყველა მშრომელის დიადი სამშობლოსადმი, აძლიერებს მათ სიმტკიცეს მხარი დაუჭირონ პროლეტარულ სახელმწიფოს და დაიცვან იგი ყველა მისი მტრისაგან.

სოციალიზმის ეს გამარჯვება აძლიერებს საერთაშორისო პროლეტარიატის რწმენას თავისი ძალებისადმი და საკუთარი გამარჯვების რეალური შესაძლებლობისადმი. რწმენას, რომელიც თვითონ ხდება უდიდეს ქმედით ძალად ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის ძალებისა და კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის და მშრომელი მასების საბრძოლო ძალთა გაერთიანებაში ჩამარხულია კაპიტალიზმის მომავალი დამხობის უდიდესი პერსპექტივა და მთელს მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების გარანტია.

ჩვენმა კონგრესმა **საფუძველი ჩაუყარა კაპიტალიზმის წინააღმდეგ ყველა მშრომელის ძალთა ისეთ ფართო მობილიზაციას, როგორიც არასოდეს არ ყოფილა მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიაში.**

ჩვენმა კონგრესმა საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე უმნიშვნელოვანეს უახლოეს ამოცანად დასახა—მთელი ძალების პოლიტიკური და ორგანიზაციული შემჭიდროება და იმ იზოლაციის ლიკვიდაცია, რასთანაც მიიყვანა იგი ბურჟუაზიასთან კლასობრივი თანამშრომლობის სოციალ-დემოკრატიულმა პოლიტიკამ; კონგრესმა ამ ამოცანად დასახა მუშათა კლასის გარშემო მშრომელთა შემჭიდროება ფართო სახალხო ფრონტზე კაპიტალის შემოტევის და რეაქციის წინააღმდეგ, ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ ყოველ ცალკეულ ქვეყანაში და საერთაშორისო ასპარეზზე.

ეს ამოცანა ჩვენ კი არ შევთხზეთ, იგი წამოაყენა თვით მსოფლიო მუშათა მოძრაობის გამოცდილებამ და, უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთის პროლეტარიატის მოქმედების გამოცდილებამ. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დამსახურება ის არის რომ მან სწორად გაიგო თუ რა უნდა გაეკეთებინა დღეს, არ დაუჯერა სექტანტებს, რომლებსაც რყევა შეჰქონდათ პარტიაში და რომლებიც ხელს უშლიდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის განხორციელებას, არამედ გაბედულად, ბოლშევიკურად სოციალისტურ პარტიასთან საერთო მოქმედების პაქტით მოამზადა პროლეტარიატის ერთიანი ფრონტი, როგორც იმ ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის საძირკველი, რომელიც ახლა იქმნება (ტაში).

ამ საქმით, რომელიც უპასუხებს ყველა მშრომელის სასიცოცხლო ინტერესებს, საფრანგეთის მუშებს — კომუნისტებსა და სოციალისტებს — კვლავ გამოჰყავთ საფრანგეთის მუშათა მოძრაობა პირველ **წამყვან ადგილზე** კაპიტალისტურ ევროპაში. ამით ავლენენ, რომ ისინი არიან კომუნარების ღირსეული მემკვიდრენი და პარიზის კომუნის სახელოვანი ანდერძის მატარებლები (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. ისმის „ვაშა“. ამხ. დიმიტროვი მიბრუნდება პრეზიდიუმისკენ და მთელ დარბაზთან ერთად ტაშს უკრავს ამხ. ტორეზს და საფრანგეთის კომპარტიის სხვა წევრებს, რომლებიც პრეზიდიუმში სხედან).

საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას და საფრანგეთის პროლეტარიატს ეკუთვნის დამსახურება, რომ მათ ფაშიზმის წინააღმდეგ ერთიანი პროლეტარული ფრონტით ბრძოლის პრაქტიკით დახმარება გაუწიეს ჩვენი კონგრესის გადაწყვეტილებათა მომზადებას, რომლებსაც ასეთი უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ყველა ქვეყნის მუშისათვის.

მაგრამ ის, რაც საფრანგეთში გაკეთდა, მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ჩვენს კონგრესს, რომელიც სახავს ტაქტიკურ ხაზს უახლოესი წლებისათვის, არ შეეძლო დაკმაყოფილებულიყო მარტო ამ გამოცდილების აღნიშვნით, იგი უფრო შორს წავიდა. ჩვენ კომუნისტები—კლასობრივი, პროლეტარული პარტია ვართ. მაგრამ ჩვენ მზად ვართ, როგორც პროლეტარიატის ავანგარდი, მოვაგვაროთ საერთო ძალით მოქმედება პროლეტარიატსა და სხვა მშრომელ კლასებს შორის, რომლებიც დაინტერესებული არიან ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ, კომუნისტები—რევოლუციური პარტია ვართ. მაგრამ ჩვენ მზად ვართ დავთანხმდეთ საერთო მოქმედებას სხვა რევოლუციურ პარტიებთან, რომლებიც ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძვიან. ჩვენ, კომუნისტებს სხვა საბოლოო მიზნები გვაქვს, ვიდრე ამ კლასებსა და პარტიებს, მაგრამ, ვიბრძვით რა ჩვენი მიზნებისათვის, ჩვენ ამავე დროს მზადა ვართ ერთად ვიბრძოლოთ ისეთი უახლოესი ამოცანებისათვის, რომელთა განხორციელება ასუსტებს ფაშიზმის პოზიციებს და ამაგრებს პროლეტარიატის პოზიციებს.

ჩვენ, კომუნისტებს ბრძოლის სულ სხვა მეთოდები გვაქვს, ვიდრე სხვა პარტიებს, მაგრამ, იბრძვიან რა ფაშიზმის წინააღმდეგ საკუთარი მეთოდებით, კომუნისტები მხარს უჭერენ სხვა პარტიების ბრძოლის მეთოდებსაც რაგინდ არასაკმაო უნდა იყოს, თუ ეს მეთოდები ნამდვილად მიმართულია ფაშიზმის წინააღმდეგ.

ჩვენ მზადა ვართ გავაკეთოთ ყოველივე ეს იმისათვის, რომ ჩვენ გვინდა ბურჟუაზიული დემოკრატიის ქვეყნებში გზა გადავუღობოთ რეაქციას, კაპიტალიზმისა და ფაშიზმის შემოტევას, ხელი შევუშალოთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებათა ლიკვიდაციას, თავიდან ავიცილოთ ფაშიზმის ტერორისტული აქტები პროლეტარიატის, გლეხობისა და ინტელიგენციის რევოლუციური ნაწილის მიმართ, ვიხსნათ ახალგაზრდობა ფიზიკური და სულიერი გადაშენებისაგან.

ჩვენ მზადა ვართ ყოველივე ეს მოვიმოქმედოთ იმისათვის, რომ გვინდა მოვამზადოთ და დავაჩქაროთ ფაშისტური დიქტატურის დამხობა ფაშისტურ ქვეყნებში.

ჩვენ მზადა ვართ ყოველივე ეს გავაკეთოთ იმისათვის, რომ გვინდა ვიხსნათ ქვეყნიერება ფაშისტური ბარბაროსობისა და იმპერიალისტური ომის საშინელებისაგან.

(ტრიბუნაზე ადის გერმანიის კომპარტიის დელეგატი ამხ. ვებერი, რომელიც ამხ. დიმიტროვს გადასცემს ალბომს. ამხ. ვებერი ამბობს: „ამხანაგო დიმიტროვ, გერმანიის კომპარტიის დელეგაციის სახელით გადმოგცემ ამ წიგნს—გერმანიის გმირ რევოლუციონერ მებრძოლთა წიგნს: ლეიპციგის პროცესზე გამოსვლით და მთელი შენი შემდგომი მოღვაწეობით სწორედ შენ იყავი მაგალითის მიმცემი გერმანიის კომპარტიისათვის, გერმანელი ანტიფაშისტებისათვის მათ ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ. მიიღე ეს წიგნი, გერმანიის პროლეტარულ მებრძოლთა გმირობის ეს სიმღერა, მებრძოლთა, რომელთათვისაც შენ მაგალითს წარმოადგენ და რომლებიც თავის თავისუფლებას, თავის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს რევოლუციის საქმეს მოახმარებენ“. (ტაში)

ჩვენი კონგრესი წარმოადგენს მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის, იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის კონგრესს.

ამ ბრძოლას ახლა ჩვენ **ახლებურად** ვიწყებთ. ჩვენი კონგრესი გადაჭრით უარჰყოფს იმპერიალისტური ომების მიმართ ფატალისტურ დებულებებს, რომლებიც ძველი სოციალ-დემოკრატიული შეხედულებებით იყო ნაკარნახევი.

მართალია, რომ იმპერიალისტური ომები—ეს კაპიტალიზმის პროდუქტია, რომ მხოლოდ კაპიტალიზმის დამხობა მოუღებს ბოლოს ყველა ომს, მაგრამ მართალია ისიც, რომ მშრომელ მასებს თავიანთი საბრძოლო მოქმედებით შეუძლიათ ხელი შეუშალონ იმპერიალისტურ ომს. მსოფლიო ახლა სრულიად არ არის ის, რაც იგი 1914 წელს იყო.

ახლა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე არსებობს მძლავრი პროლეტარული სახელმწიფო, რომელიც ემყარება გამარჯვებული სოციალიზმის მატერიალურ ძალას. მშვიდობიანობის ბრძნული სტალინური პოლიტიკით საბჭოთა კავშირს არაერთხელ ჩაუფუშავს ომის გამჩაღებელთა აგრესიული გეგმები (ტაში).

ახლა მსოფლიო პროლეტარიატს ომის საწინააღმდეგო ბრძოლაში გააჩნია არა მარტო თავისი მასობრივი მოქმედების იარაღი, როგორც ეს 1914 წელს იყო. დღეს საერთაშორისო მუშათა კლასის მასობრივი ბრძოლა ომის წინააღმდეგ შეთავსებულია საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივ ზეგავლენასთან, მისი ძლიერი წითელი არმიის, როგორც მშვიდობიანობის უმთავრესი დარაჯის, ზეგავლენასთან (მქუხარე ტაში).

დღეს საერთაშორისო მუშათა კლასი აღარ განიცდის ბურჟუაზიასთან ბლოკის მქონე სოციალ-დემოკრატიის განსაკუთრებულ გავლენას, როგორც ეს იყო 1914 წელს. დღეს არსებობს მსოფლიო კომუნისტური პარტია, კომუნისტური ინტერნაციონალი (ტაში).

დღეს სოციალ-დემოკრატი მუშების მილიონები იბრუნებენ პირს საბჭოთა კავშირისა და მისი სამშვიდობო პოლიტიკისკენ, კომუნისტებთან ერთიანი ფრონტისკენ.

დღეს კოლონიური და ნახევრად-კოლონიურ ქვეყნების ხალხები აღარ უყურებენ თავისი განთავისუფლების საქმეს, როგორც უიმედო საქმეს, პირიქით, ისინი უფრო და უფრო მეტად აჩაღებენ გადამწყვეტ ბრძოლას იმპერიალისტურ დამმონებლების წინააღმდეგ. ამას ყველაზე უკეთ მოწმობს **საბჭოთა რევოლუცია ჩინეთში და წითელი არმიის და ჩინელი ხალხის გმირული მოქმედება (ტაში. ყველა დელეგატი დგება. ისმის მისასალმებელი შეძახილები).**

ომის სიძულვილი ხალხებში თანდათან ღრმავდება და ფართოვდება. ბურჟუაზია, რომელიც მშრომელებს იმპერიალისტური ომის უფსკრულისაკენ მიერეკება, საფრთხეში იგდებს თავს. ახლა მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის იბრძვიან არა მარტო მუშათა კლასი, გლეხობა და სხვა მშრომელები, არამედ დაჩაგრული ერებიც და სუსტი ხალხებიც, რომელთა დამოუკიდებლობას ახალი ომები ემუქრება. თვით ცალკეული მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებიც შიშობენ — არაფერი დავკარგოთ მსოფლიოს ხელახალი განაწილებისასო,— **ამ ეტაპზე** ომის თავიდან აცილებით არიან დაინტერესებულნი.

აქედან გამომდინარეობს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის და მთელი ხალხების უფართოესი ფრონტის შესაძლებლობა იმპერიალისტური ომის საშიშროების წინააღმდეგ. ეყრდნობოდა რა საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას და მშრომელთა მილიონებისა და მილიონების ნებისყოფას მშვიდობიანობისაკენ, ჩვენმა კონგრესმა ფართო ანტისამხედრო ფრონტის გაშლის პერსპექტივა მისცა არა მარტო კომუნისტურ ავანგარდს, არამედ მთელ საერთაშორისო მუშათა კლასს და ყველა ქვეყნის ხალხებს. ამ საერთაშორისო ფრონტის განხორციელების და მოქმედების ხარისხზე იქნება დამოკიდებული — შესძლებენ უახლოეს დროში ომის ფაშისტური და იმპერიალისტური გამჩაღებლები ახალი იმპერიალისტური ომის ხანძრის დანთებას, თუ მათ ხელებს დაჰკვეთს ძლიერი ანტისამხედრო ფრონტის ნაჯახი.

ჩვენი კონგრესი **მუშათა კლასის ერთიანობის** კონგრესია — ერთიანი პროლეტარული ფრონტისათვის ბრძოლის კონგრესია.

ჩვენ არ ვიქმნით ილუზიებს იმ სიძნელეთა შესახებ, რომლებსაც შეუქმნის სოციალ-დემოკრატიული ბელადების რეაქციული ნაწილი ერთიანი პროლეტარული ფრონტის განხორციელებას. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია ამ სიძნელეების, რადგან ჩვენ გამოვხატავთ მუშათა მილიონების ნებისყოფას; რადგან, ვიბრძვით რა მთლიანი ფრონტისათვის, ჩვენ საუკეთესოდ ვემსახურებით პროლეტარიატის ინტერესებს, რადგან მთლიანი პროლეტარული ფრონტი — სწორი გზაა ფაშიზმისა და კაპიტალისტური წესწყობილების დასამხობად, იმპერიალისტური ომების თავიდან ასაცილებლად.

ჩვენ ამ კონგრესზე მაღლა ავსწიეთ **პროფკავშირული ერთიანობის** დროშა. კომუნისტები არ მოითხოვენ წითელი პროფკავშირების დამოუკიდებლად არსებობას რადაც არ უნდა დაჯდეს. მაგრამ კომუნისტებს ჰსურთ პროფკავშირული ერთიანობა კლასობრივი ბრძოლის გატარების და ერთხელ და სამუდამოდ ისეთი მდგომარეობის ლიკვიდაციის საფუძველზე, როდესაც პროფკავშირული ერთიანობის და კლასობრივი ბრძოლის ყველაზე თანმიმდევარ და გაბედულ მომხრეებს რიცხავენ ამსტერდამის ინტერნაციონალის პროფკავშირებიდან (ტაში).

ჩვენ ვიცით, რომ პროფინტერნში შემავალი პროფკავშირების ჯერ კიდევ ყველა მუშაკს არ შეუგნია და არ შეუთვისებია კონგრესის ეს ხაზი. ჯერ კიდევ არის სექტანტური თვითკმაყოფილების ნაშთები, რომლებიც ჩვენ მტკიცედ უნდა აღმოვფხვრათ ამ მუშაკებს შორის, რათა გავატაროთ კონგრესის ხაზი. მაგრამ ამ ხაზს ჩვენ გავატარებთ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს და გამოვნახავთ საერთო ენას ჩვენს კლასობრივ ძმებთან, ჩვენს ბრძოლის ამხანაგებთან, მუშებთან, რომლებიც ახლა ამსტერდამის გაერთიანებას ემხრობიან. (მქუხარე ტაში).

ჩვენ ამ კონგრესზე ავიღეთ **მუშათა კლასის ერთიანი მასობრივი პოლიტიკური პარტიის** შექმნის, პროლეტარიატის პოლიტიკური განხეთქილების ლიკვიდაციის კურსი, — განხეთქილების, რომელიც წარმოშვა სოციალ-დემოკრატიის კლასობრივი თანამშრომლობის პოლიტიკამ. მუშათა კლასის პოლიტიკური ერთიანობა — ჩვენთვის **მანევრი** კი არ არის, არამედ მთელი მუშათა მოძრაობის მომავალი ბედის საკითხია. ჩვენს შორის რომ გამოიძებნოს ისეთი ხალხი, რომლებიც მუშათა კლასის პოლიტიკური ერთიანობის შექმნის საკითხს შეაფასებდნენ როგორც მანევრს, ჩვენ ვიბრძოლებდით მათ წინააღმდეგ, როგორც ისეთი ხალხის წინააღმდეგ, რომელთაც ზიანი მოაქვთ მუშათა კლასისათვის. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ამ საკითხს ვეპყრობით ღრმა სერიოზულობით და გულწრფელობით, რასაც პროლეტარიატის ინტერესები გვიკარნახებს, ჩვენ ვაყენებთ განსაზღვრულ პრინციპულ პირობებს, როგორც ასეთი ერთიანობის საფუძველს. ეს პრინციპული პირობები ჩვენს მიერ კი არ არის გამოგონილი, ისინი პროლეტარიატის მიერ არის გამოტანჯული მისი ბრძოლის პროცესში, ისინი უპასუხებენ აგრეთვე სოციალ-დემოკრატ მუშათა მილიონების ნებისყოფას, — ნებისყოფას, რომელიც გამომდინარეობს დამარცხებათა გაკვეთილებიდან. ეს პრინციპული პირობები შემოწმებულია მთელი რევოლუციური მუშათა მოძრაობის გამოცდილებით (ტაში).

და რადგან ჩვენმა კონგრესმა ჩაიარა პროლეტარული ერთიანობის ნიშნით, ამიტომ ის იყო არა მარტო კომუნისტური ავანგარდის კონგრესი, არამედ კონგრესი მთელი საერთაშორისო მუშათა კლასისა, რომელსაც სწყურია საბრძოლო, პროფკავშირული და პოლიტიკური ერთიანობა (ტაში).

თუმცა ჩვენს კონგრესს არ დასწრებიან სოციალ-დემოკრატ მუშათა დელეგატები, მას არ დასწრებიან უპარტიო დელეგატები, წარმოდგენილი არ ყოფილან ფაშისტურ ორგანიზაციებში ძალით შერეკილი მუშები, — მაგრამ კონგრესი ლაპარაკობდა არა მარტო კომუნისტებისათვის, არამედ ამ მუშათა მილიონებისთვისაც, ის გამოხატავდა მუშათა კლასის უდიდესი უმრავლესობის აზრებს და გრძნობას (ტაში). და სხვადასხვა მიმართულების მუშათა ორგანიზაციები რომ მოახდენდნენ ჩვენი გადაწყვეტილებების ნამდვილად თავისუფალ განხილვას მთელი მსოფლიოს პროლეტარებში, ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მუშები მხარს დაუჭერდნენ იმ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც თქვენ, ამხანაგებო, ასეთი ერთსულოვნებით აძლევდით ხმას.

და ეს მით უფრო გვავალებს ჩვენ, კომუნისტებს, ჩვენი კონგრესის გადაწყვეტილებები ნამდვილად მთელ მუშათა კლასს გავაცნოთ. არ კმარა ხმა მივცეთ ამ გადაწყვეტილებებს. არ კმარა მათი პოპულარიზაცია კომპარტიების წევრთა შორის. ჩვენ გვინდა, რომ მუშებმა, რომლებიც ემხრობიან მეორე ინტერნაციონალს და პროფკავშირების ამსტერდამის გაერთიანებას, აგრეთვე იმ მუშებმა, რომლებიც ემხრობიან სხვა პოლიტიკურ მიმართულებათა ორგანიზაციებს, ჩვენთან ერთად განიხილონ ეს გადაწყვეტილებანი, შემოიტანონ თავისი პრაქტიკული წინადადებანი და დამატებანი, ჩვენთან ერთად იფიქრონ — თუ როგორ გავატაროთ ისინი ცხოვრებაში, ჩვენთან ერთად ხელიხელჩაკიდებულებმა განახორციელონ ისინი საქმით.

ჩვენი კონგრესი იყო **კომუნისტური ინტერნაციონალის ახალი ტაქტიკური ორიენტირების კონგრესი.**

მტკიცედ იდგა რა **მარქსიზმ-ლენინიზმის** ურყევ პოზიციაზე, რომელიც დადასტურებულია საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთელი გამოცდილებით და უწინარეს ყოვლისა დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებებით, ჩვენმა კონგრესმა სწორედ **ცოცხალი მარქსიზმ-ლენინიზმის** მეთოდის მიხედვით და მისი შემწეობით გადასინჯა კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკური დებულებები შეცვლილ საერთაშორისო მდგომარეობასთან შეფარდებით.

კონგრესმა მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება ერთიანი ფრონტის ტაქტიკის **ახლებურად** გამოყენების აუცილებლობის შესახებ. კონგრესი დაბეჯითებით მოითხოვს არ დაკმაყოფილდნენ პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგების მარტო პროპაგანდით, არამედ კონკრეტული აქტიური ბოლშევიკური პოლიტიკა აწარმოონ ქვეყნის ყველა შინაგან და საგარეო - პოლიტიკურ საკითხში: ყველა აქტუალურ საკითხში, რომლებიც მუშათა კლასის, თავისი ხალხის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სასიცოცხლო ინტერესებს ეხება. კონგრესი გადაჭრით მოითხოვს, რომ პარტიების ყველა ტაქტიკური ნაბიჯი ეყრდნობოდეს კონკრეტული სინამდვილის ფხიზელ ანალიზს, კლასობრივ ძალთა ურთიერთდამოკიდებულების და ფართო მასების პოლიტიკური დონის გათვალისწინებას. კონგრესი მოითხოვს კომუნისტური მოძრაობის პრაქტიკიდან **სექტანტობის** ყველა ნაშთის სავსებით აღმოფხვრას, — სექტანტობის, რომელიც ახლანდელ მომენტში წარმოადგენს უდიდეს დაბრკოლებას კომუნისტური პარტიების ნამდვილად მასობრივი, ბოლშევიკური პოლიტიკის გატარებისათვის.

კონგრესმა, აღფრთოვანებულმა თავისი გადაწყვეტილებით გაატაროს ეს ტაქტიკური ხაზი და თავისი რწმენით რომ ეს გზა ჩვენს პარტიებს დიდ წარმატებებს მოაპოვებინებს, ამავე დროს გაითვალისწინა იმის შესაძლებლობაც, რომ ეს ბოლშევიკური ხაზი პრაქტიკულად ყოველთვის ვერ გატარდება მშვიდად, ისე, რომ არ იყოს შეცდომები, მარჯვნივ და „მარცხნივ“ ცალკე გადახრები, — გადახრები ან **კუდმაჩანჩალური შემგუებლობისაკენ ანდა სექტანტური თვითგანცალკევებისაკენ.** ამ საშიშროებათაგან რომელია მთავარი — ამის შესახებ შეიძლება იკამათონ სქოლასტიკოსებმა. უფრო დიდი და უფრო ცუდია ის საშიშროება, რომელიც ამა თუ იმ მომენტში, ამა თუ იმ ქვეყანაში მეტად უშლის ხელს ჩვენი კონგრესის ხაზის გატარებას, კომუნისტური პარტიების სწორი მასობრივი პოლიტიკის გაშლას (ტაში).

კომუნიზმის საქმის ინტერესებისათვის საჭიროა არა განყენებული, არამედ **კონკრეტული ბრძოლა გადახრებთან,** წარმოშობილ საზიანო ტენდენციებისათვის დროული და გადამწყვეტი წინააღმდეგობის გაწევა, შეცდომების თავის დროზე გამოსწორება. გადახრებთან აუცილებელი კონკრეტული ბრძოლის შეცვლა თავისებური **სპორტით,** მოჩვენებითს გადახრებზე ანდა მოჩვენებით უკლონისტებზე ნადირობა — ეს დაუშვებელი საზიანო გადახრაა. აუცილებელია ჩვენს პარტიულ პრაქტიკაში ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი ინიციატივის განვითარებას ახალი საკითხების დაყენებაში, შევუწყოთ ხელი პარტიის მოღვაწეობის საკითხთა ყოველმხრივ განხილვას და პარტიის წევრის ყოველგვარი დაეჭვება ანდა კრიტიკული შენიშვნა მოძრაობის პრაქტიკული ამოცანების შესახებ ნაჩქარევად არ შევაფასოთ როგორც რაღაც გადახრა. აუცილებელია მივაღწიოთ იმას, რომ ამხანაგმა, რომელმაც შეცდომა დაუშვა, შესძლოს მისი საქმით გამოსწორება. ამავე დროს **დაუზოგველად უნდა დავსცხოთ მხოლოდ იმათ, ვინც ჯიუტობს თავის შეცდომებში, და აგრეთვე პარტიის დეზორგანიზატორებს.**

გამოვდივართ რა მუშათა კლასის მთლიანობის მომხრედ, ჩვენ მით უფრო მეტი ენერგიითა და შეურიგებლობით ვიბრძოლებთ **ჩვენი პარტიების შინაგანი ერთიანობისათვის.** ჩვენს რიგებში არ შეიძლება იყოს ფრაქციები, ფრაქციულობის შეტანის ცდები. ვინც შეეცდება დაარღვიოს ჩვენი რიგების რკინისებური ერთიანობა რაიმე ფრაქციულობის გზით, ის თავის თავზე იგრძნობს, თუ რას ნიშნავს ბოლშევიკური დისციპლინა, რასაც ჩვენ ყოველთვის გვასწავლიდნენ ლენინი და სტალინი (ტაში).

დეე ეს იყოს გაფრთხილება იმ ზოგიერთი ელემენტებისათვის ცალკე პარტიებში, რომლებიც ფიქრობენ, რომ შეუძლიათ გამოიყენონ თავისი პარტიის სიძნელეები, დამარცხებათა ჭრილობები და გამძვინვარებული მტრის დარტყმანი თავისი ფრაქციული გეგმების გასატარებლად, თავისი ჯგუფური ინტერესების განსახორციელებლად (ტაში).

პარტია ყველაფერზე მაღლა უნდა დავაყენოთ! (მქუხარე ტაში). **პარტიის ბოლშევიკური ერთიანობის თვალისჩინივით დაცვა — ეს ბოლშევიზმის პირველი და უმაღლესი კანონია!**

ჩვენი კონგრესი **ბოლშევიკური თვითკრიტიკის და კომუნისტური ინტერნაციონალის და მისი სექციების ხელმძღვანელობის განმტკიცების კონგრესია.**

ჩვენ არ გვეშინია აშკარად მივუთითოთ შეცდომებზე, სუსტ მხარეებსა და ნაკლოვანებებზე ჩვენს რიგებში, რადგან ჩვენ ვართ რევოლუციური პარტია, რომელმაც იცის, რომ შეუძლია განვითარდეს, გაიზარდოს და შეასრულოს თავისი ამოცანები იმ პირობით, თუ ის ჩამოიცილებს ყველაფერს, რაც ხელს უშლის მისი, როგორც რევოლუციური პარტიის, განვითარებას.

და ის მუშაობა, რომელიც შეასრულა კონგრესმა თვითკმაყოფილი სექტანტობის, სქემატიზმის, შაბლონით გატაცების აზრის სიზარმაცის, მასების ხელმძღვანელობის მეთოდების პარტიის ხელმძღვანელობის მეთოდებით შეცვლის თავისი დაუზოგავი კრიტიკით, — მთელი ეს მუშაობა შესაფერისად უნდა გავაგრძელოთ პარტიებში ადგილებზე, ჩვენი მოძრაობის ყველა რგოლში, რადგან ეს არის კონგრესის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში სწორად გატარების ერთერთი ყველაზე უფრო არსებითი წინაპირობა (ტაში).

კონგრესმა თავისი რეზოლუციით აღმასკომის საანგარიშო მოხსენების გამო დაადგინა ჩვენი მოძრაობის **ოპერატიულ ხელმძღვანელობას** თავი მოუყაროს თვით სექციებში. ეს გვავალებს ყოველმხრივ გავაძლიეროთ მუშაობა კადრების შექმნისა და აღზრდისათვის და კომუნისტური პარტიების ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელებით განმტკიცებისათვის, რათა პარტიებმა შესძლონ კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესების და მისი აღმასკომის პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მოვლენათა მკვეთრი მობრუნების პირობებში, სწრაფად და დამოუკიდებლად გამოძებნონ კომუნისტური მოძრაობის პოლიტიკური და ტაქტიკური ამოცანების სწორი გადაწყვეტა. ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების დროს კონგრესი ცდილობდა კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობა შეექმნა ისეთი პირებისაგან, რომლებიც არა დისციპლინის გრძნობით, არამედ ღრმა რწმენით ითვისებენ, მზად არიან და შეუძლიათ მტკიცედ გაატარონ ცხოვრებაში კონგრესის ახალი დებულებები და გადაწყვეტილებანი (ტაში).

საჭიროა აგრეთვე თვითეულ ქვეყანაში უზრუნველყოფილ იქნას კონგრესის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სწორი გამოყენება, რაც პირველ რიგში დამოკიდებული იქნება კადრების სათანადო შემოწმებასა, განაწილებასა და ორიენტაციაზე. ჩვენ ვიცით, რომ ეს ადვილი ამოცანა არ არის. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი კადრების ნაწილი იზრდებოდა არა ბოლშევიკური მასობრივი პოლიტიკის გამოცდილებაზე, არამედ უმთავრესად საერთო პროპაგანდის საფუძველზე. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა დავეხმაროთ ჩვენს კადრებს გარდაიქმნან, ხელახლა აღიზარდონ კონგრესის გადაწყვეტილებათა მიხედვით. მაგრამ იქ, სადაც აღმოჩნდება, რომ **ძველი ჰურჭელი** არ ვარგა **ახალი ღვინისათვის,** მოგვიხდება გავაკეთოთ სათანადო დასკვნები — **არა ახალი ღვინო** დავღვაროთ, ანდა გავაფუჭოთ **ძველ ჰურჭელში,** არამედ **ძველი ჰურჭელი** შევცვალოთ **ახლით (დარბაზში გაცხოველება. ტაში).**

ჩვენ განზრახ განვდევნეთ მოხსენებიდანაც და კონგრესის გადაწყვეტილებებიდანაც მჟღერი ფრაზები რევოლუციური პერსპექტივების შესახებ. მაგრამ ეს იმიტომ კი არა, რომ ჩვენ საფუძველი გვქონდეს წინანდელზე უფრო ნაკლებ ოპტიმისტურად შევაფასოთ რევოლუციური განვითარების ტემპები, არამედ იმიტომ, რომ ამით გავათავისუფლოთ ჩვენი პარტიები ყოველგვარი მიდრეკილებისაგან ბოლშევიკური აქტივობა შესცვალონ რევოლუციური ფრაზებით ანდა უნაყოფო დავით პერსპექტივების შეფასების შესახებ. ვაწარმოებთ რა გადამწყვეტ ბრძოლას სტიქიურობის ყოველგვარ კურსთან, ჩვენ ანგარიშს ვუწევთ რევოლუციის განვითარების პროცესს არა როგორც მეთვალყურეები, არამედ როგორც ამ პროცესის აქტიური მონაწილეები, როგორც რევოლუციური საქმის პარტია, ვასრულებთ რა მოძრაობის ყოველ ეტაპზე რევოლუციის ინტერესებისათვის დასმულ ამოცანებს, ამა თუ იმ ეტაპის კონკრეტულ პირობებთან შეფარდებულ ამოცანებს, ფხიზლად ვითვალისწინებთ რა მშრომელთა ფართო მასების პოლიტიკურ დონეს, ჩვენ ყველაზე უფრო ვაჩქარებთ აუცილებელ სუბიექტური წინაპირობების შექმნას პროლეტარული რევოლუციის **გამარჯვებისათვის (ტაში).**

„საგანი უნდა ავიღოთ ისე, როგორიც იგი ნამდვილად არის“, — ამბობს მარქსი, — „**ესე იგი დავიცვათ რევოლუციის ინტერესები ისეთი წესით, როგორიც შეცვლილ პირობებს შეეფერება**“.

ამაშია საქმის მთავარი აზრი. ეს ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ.

ამხანაგებო!

მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებანი უნდა შევიტანოთ მასებში, განვუმარტოთ ისინი მასებს, გამოვიყენოთ ისინი როგორც მასების მოქმედების სახელმძღვანელო, ერთის სიტყვით გადავაქციოთ ისინი მშრომელთა მილიონების სისხლად და ხორცად!

საჭიროა ყველგან მაქსიმალურად გავაძლიეროთ მუშათა **ინიციატივა ადგილებზე,** კომუნისტურ პარტიათა ძირეული ორგანიზაციების **და** მუშათა მოძრაობის ინიციატივა ამ გადაწყვეტილებათა გატარების საქმეში.

რევოლუციური პროლეტარიატის წარმომადგენლებმა აქედან თავიანთ ქვეყნებში უნდა წაიღონ მტკიცე რწმენა, რომ ჩვენ, კომუნისტები, პასუხისმგებელნი ვართ მუშათა კლასის, მუშათა მოძრაობის ბედისათვის, ყოველი ხალხის ბედისათვის, მთელი მშრომელი კაცობრიობის ბედისათვის.

მუშების ხელით აშენებული მსოფლიო გვეკუთვნის ჩვენ — მუშებს და არა საზოგადოების პარაზიტებს და მუქთახორებს. კაპიტალისტური სამყაროს ახლანდელი მმართველები—**ეს დროებითი ადამიანებია.**

პროლეტარიატი—ეს არის **მსოფლიოს ნამდვილი, ხვალინდელი ბატონპატრონი (მქუხარე ტაში).** და იგი უნდა შევიდეს თავის ისტორიულ უფლებებში, ხელში აიღოს მართვა-გამგეობის სადავე ყოველ ქვეყანაში, მთელ მსოფლიოში (ტაში).

ჩვენ—მარქსისა და ენგელსის, ლენინისა და სტალინის მოწაფეები ვართ, ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენ დიდ მასწავლებელთა ღირსნი (ტაში).

ჩვენმა მრავალმილიონიანმა პოლიტიკურმა არმიამ სტალინის მეთაურობით, არმიამ, რომელიც გადალახავს ყველა სიძნელეს და მამაცურად გადააბიჯებს ყველა დაბრკოლებას, უნდა დაანგრიოს და კიდეც შესძლებს დაანგრიოს კაპიტალიზმის ციხე-სიმაგრე და მიაღწიოს სოციალიზმის გამარჯვებას მთელ მსოფლიოში! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს მუშათა კლასის ერთიანობას!

გაუმარჯოს კომუნისტური ინტერნაციონალის მე-7 მსოფლიო კონგრესს!

(მქუხარე ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის, ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს“, რასაც დელეგატებიც მღერიან. დელეგაციების შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს“, „გაუმარჯოს ამხანაგ დიმიტროვს“, „ვაშა“, სამგზის „როტ ფრონტ“, საფრანგეთის დელეგაცია მღერის „კარმანიოლას“, ჩეხიის დელეგაცია მღერის „ჩერვონი შდანდარტს“, იტალიის დელეგაცია—„ბანდიერა როსას“, გერმანიის დელეგაცია—„წითელ ვედინგს“. შეძახილი: „გაუმარჯოს კომინტერნის მესაჭეს ამხანაგ დიმიტროვს!“. „ვაშა!“ მქუხარე ტაში).

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმი

კომინტერნის აღმასკომის გენერალურ მდივნად არჩეულია ამხ. გ. დიმიტროვი

გუშინ შესდგა კომუნისტური ინტერნაციონალის ახლად არჩეული აღმასრულებელი კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა ერთხმად აირჩია კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

პრეზიდიუმის წევრები:

გოტვალდი, დიმიტროვი, კაშენი, კოლაროვი, კოპლენიგი, კუუსინენი, ლენსკი, მანუილსკი, მარტი, მ. ა. მოსკვინი, ვან-მინი, ოკანო, პიკი, პოლიტი, სტალინი, ტორეზი, ფლორინი, ფოსტერი, ერკოლი.

პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები:

ბრაუდერი, ბრონკოვსკი, გალახერი, გარლანდი, ჰაკერტი, კილერი, კონ-სინი, ლინდეროტი, ლოზოვსკი, მიხალი, რაიმონდი, ტუომინენი.

პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. დიმიტროვი კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის გენერალურ მდივნად.

ამხ. დიმიტროვის არჩევას კომინტერნის აღმასკომის გენერალურ მდივნად ყველა დამსწრე მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდება.

ერთხმად იქნა აგრეთვე არჩეული კომინტერნის აღმასკომის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

სამდივნოს წევრები:

დიმიტროვი, (გენერალური მდივანი), ერკოლი, მანუილსკი, პიკი, კუუსინენი, მარტი, გოტვალდი.

სამდივნოს წევრობის კანდიდატები:

მ. ა. მოსკვინი, ფლორინი, ვან-მინი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანები იმპერიალისტთა მიერ ახალი მსოფლიო ომის მომზადებასთან დაკავშირებით

ამხ. ერკოლის მოხსენება კომინტერნის VII მსოფლიო კონგრესზე

(შემოკლებული სტენოგრამა)

(ამხ. ერკოლის გამოჩენას ტრიბუნაზე მთელი კონგრესი მქუხარე ტაშით ხვდება. ყველანი ფეხზე დგებიან და ოვაციას უმართავენ ამხ. ერკოლის. თავმჯდომარე ამხ. ტორეზი ამბობს: „გაუმარჯოს იტალიის პროლეტარიატის ბელადს, კომინტერნის ერთერთ საუკეთესო ხელმძღვანელს ამხ. ერკოლის“) (ტაში).

VI მსოფლიო კონგრესმა 1928 წელს ომის წინააღმდეგ შეიმუშავა ჩვენი ბრძოლის გენერალური ხაზი. ეს ხაზი, რომელმაც უკვე ჩააბარა „ცეცხლით გამოცდა“, რჩება ჩვენს ძირითად ხაზად. მაგრამ საერთაშორისო სიტუაციაში VI მსოფლიო კონგრესის შემდეგ, და განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, დიდი ცვლილებები მოხდა. შორეულ აღმოსავლეთში დაიწყო მსოფლიოს ახალი განაწილების გატარება შეიარაღებული ძალის დახმარებით. იმ გამარჯვების შედეგად, რომელიც სოციალიზმმა მოიპოვა აქ, პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში, საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური მსოფლიოს ურთიერთობანი ახალ ფაზაში შევიდა.

საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკის წინაშე გადაიშალა ახალი შესაძლებლობანი. კავშირი საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკისა და მშვიდობიანობისათვის ბრძოლისა, რომელსაც მუშები და ყველა მშრომელი აწარმოებენ, უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება, ვიდრე ოდესმე. ამასთან ერთად ომის საფრთხე იმდენად გამწვავდა, რომ კომუნისტური ავანგარდისა და მუშათა კლასისაგან მოითხოვს ძალღონის უდიდეს დაჭიმვას იმისათვის, რომ დარაზმონ მთელი ძალები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მშვიდობიანობისა და საბჭოთა კავშირის დასაცავად. აქედან გამომდინარეობს მოთხოვნა, რომ ჩვენ ამ დარგშიც შევიტანოთ ცვლილებანი ჩვენს ტაქტიკაში, ამასთან გავითვალისწინოთ სიტუაციისა და ძალთა განწყობილებაში მომხდარი ცვლილებანი.

კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარება კრიზისის წლებში

ვერსალისა და ვაშინგტონის სისტემათა დასასრული

დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობაში არასოდეს არ ყოფილა სიმტკიცე და არც შეიძლება იყოს. ეს განისაზღვრება კაპიტალისტური განვითარების უთანაბრობის კანონით.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის და განსაკუთრებული სახის დეპრესიის პერიოდი წარმოადგენს უთანაბრო განვითარების განსაკუთრებულ მაგალითს და გვიჩვენებს ყველა დარგში კაპიტალიზმის განვითარების ამ უთანაბრობის შედეგებს.

კრიზისის დაწყების მომენტიდან კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობა კიდევ უფრო მწვავდება. ეს იწვევს პოლიტიკური წონასწორობის ახალ დარღვევას და საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებას ციებ-ცხელების ხასიათს აძლევს, რაც წლითი-წლობით მატულობს კრიზისის განვითარების პროცესში.

ყოველ ქვეყანაში კრიზისის შედეგები და ის მეთოდები, რომლებსაც გაბატონებული კლასები იყენებენ იმ მიზნით, რომ იპოვონ კრიზისიდან გამოსავალი და კრიზისის ტვირთი მშრომელებს დააკისრონ, ატარებენ ისეთ ხასიათს, რომ იწვევენ იმპერიალისტური ბურჟუაზიის აგრესიობის შემდგომ გაძლიერებასა და საერთაშორისო ურთიერთობათა უფრო და უფრო დაძაბვას. ყოველ ქვეყანაში ბურჟუაზიის რეაქციული ელემენტები უფრო და უფრო იხრებიან ომისაკენ. ეს ელემენტები ომს სთვლიან კრიზისის მიერ შექმნილ სიძნელეთა გადალახვის საუკეთესო საშუალებად, ზოგიერთ მომენტში — ერთ-ერთ საშუალებადაც კი. ის ცვლილებანი, რომლებიც კრიზისის ზეგავლენით მოხდა გაბატონებული იმპერიალისტური ქვეყნების ეკონომიურ ურთიერთობაში, წარმოადგენს ომის შემდგომი დროის ხელშეკრულებათა შერყევისა და მოსპობის უშუალო მიზეზს.

1933 წლის დასაწყისს, როცა გერმანიაში ხელისუფლებას ფაშისტები დაეპატრონენ, ვერსალის სისტემა უკვე სამი მეოთხედით იყო დაყვანილი არარაობამდე. ამჟამად ვერსალის სისტემისაგან დარჩა მხოლოდ ევროპის ომისშემდგომი საზღვრები და კოლონიებისა და კოლონიური მანდატების განაწილება, ე. ი. დარჩა მხოლოდ ის, რის მოსპობაც შეიძლება მხოლოდ იარაღის აშკარა გამოყენებით, მხოლოდ ძალადობისა და ომის საშუალებებით. მეორე მხრით, არაფერი დარჩენილა ვაშინგტონის ხელშეკრულებისაგანაც.

ამხანაგებო! კომუნისტური ინტერნაციონალი და დაინტერესებული ქვეყნების კომუნისტური პარტიები იდგნენ ომის შემდგომ მტაცებლურ ხელშეკრულებათა წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში.

ჩვენ დავგმეთ ვერსალის ხელშეკრულება და აქედან ჩვენ ერთი სიტყვის წაღებაც არ გვიხდება უკან. ახლანდელ მომენტში, როცა ვერსალის ხელშეკრულების მარცხი და დასასრული წარმოადგენს ერთერთ უმთავრეს ელემენტს, რაც ახლანდელ სიტუაციას ახასიათებს, ჩვენი მოვალეობაა — პირდაპირ შევხედოთ **ახალ სიტუაციას,** რომელიც დასახულია საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე და ამ ახალი სიტუაციის გათვალისწინების საფუძველზე განვსაზღვროთ ჩვენი ამოცანები და პროლეტარიატის [illegible].

ამხანაგებო! ჩვენ ვიბრძოდით ომისშემდგომ ხელშეკრულებათა მოსპობისათვის სოციალური და ნაციონალური განთავისუფლების გზებზე.

იმას, რაც მოხდა, საერთო არაფერი აქვს იმ მიზნებთან, რომელთათვისაც ჩვენ ვიბრძოდით. იმპერიალისტთა გაათრებულმა მეტოქეობამ ომის შემდგომი ხელშეკრულებანი ნაცარტუტად აქცია. ის მდგომარეობა, რომელიც აქედან წარმოიშვა, არის ახალი მსოფლიო ომის წინადღე, რომლის დაწყებაც გერმანიის იმპერიალიზმს განზრახული აქვს იმისათვის, რომ ხალხებს თავს მოახვიოს ისეთი „მშვიდობიანობა“, როგორიც პრუსიის გენერლებმა გვიჩვენეს ბრესტ-ლიტოვსკში.

და ამ მუქარას, რომელიც ამჟამად უაღრესად სერიოზულია, ვითვალისწინებთ ჩვენ, როცა ვსახავთ ჩვენს პოზიციას იმპერიალიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის ძლიერება, იაპონიის აგრესიული გეგმები და ფაშიზმის შემოტევა

ამხანაგებო, კაპიტალისტური მსოფლიო სწრაფად მიექანება ახალი ომისაკენ. ჩვენ ამოცანად ვისახავთ გამოვარკვიოთ, დღეს კონკრეტულად საიდან მოგველის ომის საფრთხე, ვინ არის დღეს ომის გამჩაღებელი, როგორი ომის გაჩაღება სურთ მათ და როგორ ომს ამზადებენ კიდეც. ამ კითხვებს რომ პასუხი გავცეთ, საჭიროა მთელი ყურადღება მივაპყროთ, შემდეგ სამ ძირითად ფაქტს:

1. საბჭოთა კავშირის მძლავრი აღმავლობა;
2. იაპონიის კაპიტალიზმის თავდასხმა შორეულ აღმოსავლეთში.
3. ფაშიზმის შემოტევა ევროპაში, და განსაკუთრებით გერმანიაში.

საბჭოთა კავშირის მძლავრი აღმავლობა

საბჭოთა კავშირი, რომელიც ყოველმხრივ განმტკიცდა როგორც შინაურ, ისე საგარეო ურთიერთობათა სფეროშიც, გახდა ერთადერთ მყარ, საიმედო და მტკიცე ძალად, რომელიც შეიძლება იყოს მშვიდობიანობის დაცვის პოლიტიკის დასაყრდენი. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის ასეთი გამაგრება პირდაპირი შედეგია პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისა ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში.

საბჭოთა ქვეყნის ტექნიკური მომარაგება, რაც შედეგია პირველი ხუთწლედის გამარჯვებით დამთავრებისა და მეორე ხუთწლიანი გეგმის პირველი ნახევრის შესრულებისა, ნებას აძლევს მას საკუთარი ძალის სრული რწმენით შეხედოს იმპერიალისტური ქვეყნების შესაძლებელი თავდასხმის პერსპექტივას.

შორეულ აღმოსავლეთში, სადაც უფრო ძლიერია იმპერიალისტური თავდასხმის უშუალო საფრთხე, საბჭოთა კავშირის საზღვრები უკვე აღარ არის დაუცავი საზღვრები. მათ იცავს ჯარი, რომელსაც აქვს საკუთარი სამხედრო - ეკონომიური ბაზა და უაღრესად განვითარებული სამხედრო მრეწველობა (ტაში).

საბჭოთა კავშირის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების ამ განსაცვიფრებელ აღმავლობას თან ახლავს მუშათა სახელმწიფოსადმი კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის და ხალხთა ფართო მასების სიმპატიისა და ერთგულების შეუჩერებელი ზრდა.

ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ ყველა ეს მომენტი და მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთობა შევიდა ახალ სტადიაში, რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნის მზარდი ავტორიტეტი და მისი სამშვიდობო პოლიტიკა.

ამ ახალი მოვლენის გამოხმაურებას ვხედავთ საერთაშორისო პოლიტიკის ყოველ დარგში და ჩვენი პოლიტიკის დასახვისას ამას ჩვენ მთელი სერიოზულობით უნდა გავუწიოთ ანგარიში.

იაპონიის იმპერიალიზმის აგრესია შორეულ აღმოსავლეთში

ვნახოთ ახლა, რა ხდება კაპიტალისტურ მსოფლიოში.

ყველაზე აგრესიული ქვეყანა, რომელიც გაფაციცებით ამზადებს ომს და რომელიც უკვე აწარმოებს ომს, უეჭველად არის იაპონია. დაწყებული 1931 წლიდან იაპონიის მებრძოლი იმპერიალიზმი იარაღის საშუალებით შეუდგა მსოფლიო რუკის გადაკეთებას.

მიზანი, რომელიც ამოძრავებს იმპერიალისტურ იაპონიას და რასაც აშკარად აღიარებენ მისი სახელმწიფო მოღვაწეები — ის არის ჰეგემონიის მიღწევა არა მარტო შორეულ აღმოსავლეთში, არამედ მთელ აღმოსავლეთ აზიაში და წყნარი ოკეანის დასავლეთ სანაპიროებზეც. ამ მიზნის მისაღწევად იაპონიას პირველყოვლისა, ესაჭიროება თავისი მძიმე ინდუსტრიისათვის ნედლეულის ბაზის შექმნა. იაპონიის იმპერიალისტებს მანჯურიისა და ჩრდილოეთ ჩინეთის დაპყრობა სჭირდებათ იმისათვის, რომ ჰქონდეთ პლაცდარმი საბჭოთა საზღვრებზე თავდასასხმელად და უზრუნველყოთ იმ არმიათა შორის ზურგი, რომლებიც დაიწყებენ ამ თავდასხმას.

შორეულ აღმოსავლეთში მდგომარეობის გამწვავების ეს ტენდენცია გაბატონებულია იაპონიის მთელს პოლიტიკაში: ამ ტენდენციის მაჩვენებელია საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმა, ის ინტრიგები, რომელთა საშუალებითაც იაპონიის დიპლომატია მჭიდროდ უკავშირდება ომის გამჩაღებლებს სს.რ. კავშირის მტრებს ევროპაში, გაძლიერებული სამხედრო სამზადისი, რომელსაც ახლა აწარმოებენ იაპონელი გენერლები მანჯურიაში, ის, რომ გაფაციცებით გაჰყავთ იქ ახალი რკინიგზები და სტრატეგიული მშენებლობის გზატკეცილები, ის ღონისძიებები, რომელთა მიზანია აზიის მატერიკზე მანჯურიაში იაპონიის არმიისათვის ავტონომიური სამრეწველო ბაზის შექმნა, აგრესიული იაპონურ - მანჯურიული წრეების გამუდმებული პროვოკაციები საბჭოთა საზღვრებთან და მრავალი ცდა, რათა გამოიწვიონ შეიარაღებული კონფლიქტი მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

ამხანაგებო! თუ ომმა, რომელიც უკვე 4 წელიწადია ყოველდღე ემუქრება საბჭოთა კავშირის შორეული აღმოსავლეთის საზღვრებს, ჯერ კიდევ არ იფეთქა, ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ მხოლოდ და მხოლოდ იმ შორსმჭვრეტ და მამაც სამშვიდობო პოლიტიკას, რომელსაც ადგია საბჭოთა კავშირი (ტაში) ჩვენ მივესალმებით ამ პოლიტიკას. და ნება გვიბოძეთ ამასთანავე ჩვენი კონგრესის ტრიბუნიდან მხურვალე სალამი ვუგზავნოთ სახელოვან წითელ არმიას, რომელიც სდგას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შორეულ აღმოსავლეთის საზღვრების სადარაჯოზე (**მქუხარე ტაში. დელეგატები ფეხზე დგებიან**).

ომის მთავარი გამჩაღებლის — ფაშიზმის შემოტევა

ამხანაგებო! ფაშიზმის გამარჯვება გერმანიაში და ევროპის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში და ფაშიზმის საერთო შემოტევა — აი ესაა მესამე ახალი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობას, ამაზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. ამხანაგ სტალინს არა ერთხელ მიუქცევია ჩვენი ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ფაშისტური დიქტატურა არის ბურჟუაზიის ზურგის ორგანიზაციის ერთერთი ფორმა ახალი ომისათვის. გამარჯვება გერმანიის ნაციონალ-სოციალიზმისა, რომელიც ფაშიზმის ყველაზე აგრესიულ ნაირსახეობას წარმოადგენს, არის არა მარტო იმ პარტიის გამარჯვება, რომელიც ყველაზე აღვირახსნილ შოვინიზმს ეყრდნობა და რომელიც თავის უშუალო მიზნად ომის გაჩაღებას ისახავს. ეს არის იმ პარტიის გამარჯვება, რომელიც სრულიად წარბშეუხრელად აცხადებს, რომ მისი უშუალო მიზანია კონტრრევოლუციური ომის დაწყება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობისა და ჩაგრულ ხალხთა ნაციონალური განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ მთელს მსოფლიოში.

გერმანიის ფაშიზმი თავის საომარ პროვოკაციებს ჰფარავს ევროპაში მცხოვრები ყველა გერმანელის განთავისუფლებისა და გაერთიანების მოთხოვნით. ნამდვილად კი მისი ამოცანაა დაამყაროს თავისი ჰეგემონია ევროპის კონტინენტზე, მას იმედი აქვს, რომ თავის მიზანს მიაღწევს, თუ სათავეში ჩაუდგება რეაქციის ჯვაროსნულ ლაშქრობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ნაციონალ - სოციალიზმის საგარეო პოლიტიკის ამ ძირითად მიმართულებას ადასტურებს „მესამე იმპერიის“ ხელმძღვანელთა მთელი საქმიანობა, მთელი მათი მოქმედება მას შემდეგ, რაც ისინი ძალაუფლებას დაეპატრონენ. მათი დაჟინებითი უარი, რომ ხელი მოაწერონ პაქტს, რომელიც უზრუნველყოფს საზღვრებს და მშვიდობიანობას აღმოსავლეთ ევროპაში, — აი ამ საქმიანობის ერთერთი საგულისხმო გამოხატულება.

ჰიტლერმა ა. წ. 21 მაისს წარმოთქმულ თავის უკანასკნელ სიტყვაში გერმანიის საგარეო პოლიტიკის შესახებ, სიტყვაში, რომელიც წარმოადგენს თვალთმაქცობისა და დემაგოგიის თაიგულს, ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ნაციონალ-სოციალიზმის მთელი პოლიტიკა მიმართულია საბჭოთა კავშირზე თავდასხმისაკენ. ჩვენ არ ვემხრობით გერმანიის გარემოცვას ან გერმანულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის მასათა ჩაგვრას და ძალდატანებით ჩამოშორებას. ჩვენ მხარს ვუჭერთ გერმანიის ხალხის სრულ სოციალურ და ნაციონალურ განთავისუფლებას. მაგრამ გერმანიის ხალხის განთავისუფლება იწყება და აუცილებლად უნდა დაიწყოს ფაშისტური რეჟიმის დამხობით. ნაციონალ - სოციალისტური პარტია, რომელმაც გერმანიის მუშები და გლეხები დაუმორჩილა საკონცენტრაციო ბანაკების, საპყრობილეების, წამების ბარბაროსულ რეჟიმს, არ შეიძლება იბრძოდეს გერმანულ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ნაციონალური განთავისუფლებისათვის.

გერმანიის ფაშიზმი ცდილობს შექმნას რეაქციული ბლოკები, რომლებიც მის დაპყრობით გეგმებს დაექვემდებარებოდნენ. ამისათვის იგი სხვადასხვა ქვეყანაში მხარს უჭერს ყველაზე რეაქციულ პარტიებს და ფაშისტურ ხროვებს.

ამ პოლიტიკის პირველი კონკრეტული აქტი იყო პაქტის დადება გერმანიის ნაციონალ - სოციალიზმსა და პოლონეთის ფაშიზმს შორის 1934 წლის დასაწყისში.

ყველაფერი, რაც კი ვიცით პოლონეთისა და გერმანიის პაქტზე, გვიჩვენებს, რომ საქმე ეხება აგრესიულ ხელშეკრულებას, რომელიც ომის მომზადების მიზნებს ემსახურება. იგი ისწრაფვის დაამყაროს პოლონეთისა და გერმანიის ერთგვარი შეთანხმებითი პროპაგანდა და ორივე ამ ქვეყნის საქმიანობა უკრაინის კონტრრევოლუციური ემიგრაციის და დასავლეთ - უკრაინის კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ბანდების შორის. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ ამ პაქტზე ხელმოწერით პოლონეთის ფაშიზმი მიემხრო აღმოსავლეთისაკენ გერმანიის ტერიტორიალური ექსპანსიის გეგმას, საბჭოთა უკრაინაში შემოსევისა და მისი კოლონიზაციის დანაშაულებრივ გეგმას.

მე არ შევჩერდები იმ ფაქტზე, რომ პოლონეთისა და გერმანიის შეთანხმება წინააღმდეგობით სავსე შეთანხმებაა. ეს გარემოება განსაკუთრებით ნათლად აშკარავდება ამ ბოლო დღეებში დანციგის საკითხთან დაკავშირებით. პოლონეთის მმართველ ჯგუფებთან ხელშეკრულების დადებით გერმანიის ნაციონალ - სოციალიზმს ოდნავადაც არ აუღია ხელი თავის ანტიპოლონურ მოთხოვნებზე. მას მხოლოდ სურდა ეშოვა თანაშემწეები თავისი დანაშაულებრივი ანტი-საბჭოთა ავანტიურისათვის. სავსებით ცხადია, რომ თუ გერმანიის ფაშიზმი პოლონეთის ფაშიზმის დახმარებით შესძლებდა განმტკიცებულიყო ევროპაში და განეხორციელებინა თავისი ტერიტორიალური დაპყრობითი მისწრაფების თუგინდ ნაწილი, — პოლონეთის ხალხის ბედიღბალი სრულიადაც არ იქნებოდა შესაშური.

შეთანხმება პოლონეთთან გერმანიის ნაციონალ - სოციალიზმისათვის ტრამპლინი გამოდგა თავისი ინტრიგების ქსელის გასაფართოებლად. მისი უშუალო შედეგი იყო ის, რომ გამწვავდა ჩეხოსლოვაკიის საზღვრების, ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობის საფრთხე და გაძლიერდა გერმანიის ფაშიზმის აგრესიულობა ბალტიკის ქვეყნების დამოუკიდებლობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში.

უტიფარი და აშკარა დახმარება, რომელსაც ჰიტლერის ფაშიზმი უწევს ფაშისტური მოძრაობის განვითარებას ყველა ქვეყანაში, წარმოადგენს ამ რეაქციული გეგმის შემადგენელ ნაწილს. გერმანიის ფაშიზმი თავისი საომარი შეტევისათვის იყენებს საგარეო ურთიერთობას მთელს ევროპაში. ინგლისიდან ბალკანეთამდე, ფინეთიდან ესპანეთამდე, ჰოლანდიიდან იტალიამდე რაზმავს და აქეზებს ყველა პარტიას, რომლებიც კი ომს ემხრობიან. **ამგვარად, ევროპაში უფრო და უფრო ნათლად ისახება კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ჯგუფი, რომლებსაც მართავენ და წარმართავენ ყველაზე მეომარი, ყველაზე რეაქციული ძალები, უშუალოდ დაინტერესებულნი საერთოდ ომისა და, კერძოდ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ომის ჩქარა გაჩაღებით.**

მეორე მხრივ, გამოირჩევა კაპიტალისტური ქვეყნების ჯგუფი, რომელთაც მეტწილად შენარჩუნებული აქვთ საპარლამენტო რეჟიმი და რომელნიც ცოტად თუ ბევრად დაინტერესებული არიან მშვიდობიანობის შენარჩუნებით.

თუ ანალიზს გავუკეთებთ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობას, შემდეგ ძირითად დასკვნებამდე მივალთ:

1. კაპიტალისტური სამყაროს და სოციალიზმის სამყაროს წინააღმდეგობა კვლავ რჩება ახლანდელი ისტორიული პერიოდის ყველაზე ღრმა წინააღმდეგობად.

2 წინააღმდეგობა ახლა განსაკუთრებით მკვეთრად აშკარავდება იმაში, რომ ორი უდიდესი ქვეყნის — გერმანიისა და იაპონიის იმპერიალისტები აშკარად ჰქადაგებენ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ისწრაფვიან შექმნან მთელი რიგი რეაქციული და ფაშისტური სახელმწიფოების ბლოკი ამ ომის მოსამზადებლად და გასაჩაღებლად. ამ ცდებს მხარს უჭერენ და აქეზებენ უდიდესი იმპერიალისტური ქვეყნის — ინგლისის ყველაზე რეაქციული ფენები.

3. გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის აგრესიულ პოლიტიკას გარდუვალად მოსდევს შედეგად ყველა საერთაშორისო წინააღმდეგობის ახალი გამწვავება, მაგრამ ამავე დროს გამიჯნაც დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკაში, რომელთაგან ზოგიერთები დაინტერესებული არიან სტატუსქვოს დაცვით და მშვიდობიანობის დროებითი, პირობითი შენარჩუნებით.

ყოველივე აქედან, ამხანაგებო, გამომდინარეობს, რომ საერთაშორისო ვითარება განსაკუთრებით მწვავეა, განსაკუთრებით დაძაბულია, რომ ომმა შეიძლება იფეთქოს ყოველ მომენტში, ყოველ ადგილას და რომ ყოველი ომი აუცილებლად გადაიქცევა მსოფლიო ომად. აქედან გამომდინარეობს აგრეთვე, რომ დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობა იმგვარად ვითარდება, რომ განსაზღვრულ მომენტში, განსაზღვრულ პირობებში ისინი შეიძლება ერთგვარ დაბრკოლებად აღმოჩნდნენ. რომელიც ხელს შეუშლის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ახალი ბლოკის შექმნას. ეს საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკის წინაშე თვალსაჩინო შესაძლებლობას ჰსახავს.

თუ მართალია, რომ სხვადასხვა ქვეყნის პოზიციები ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაშინ ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ ამ განსხვავებას, როცა ვსაზღვრავთ ჩვენს რევოლუციურ სტრატეგიას და ჩვენს ტაქტიკას ომის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს აბსოლუტურად აუცილებელია.

ჩვენს რევოლუციურ სტრატეგიას და, მაშასადამე, ჩვენს ბრძოლასაც ომის წინააღმდეგ საფუძვლად უდევს ძალთა კონცენტრაცია იაპონიის მილიტარისტების წინააღმდეგ, რომელნიც თავდასხმას ემუქრებიან საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის საზღვრებზე და ისწრაფვიან მოსპონ ჩინეთის რევოლუციის მონაპოვარი. ჩვენ წარვმართავთ ცეცხლს გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ევროპაში ომის მთავარი გამჩაღებლის წინააღმდეგ.

ჩვენ ვისწრაფვით გამოვიყენოთ ყველა განსხვავება, რომელიც კი არსებობს ცალკეულ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოზიციებში. ჩვენ ხერხიანად უნდა გამოვიყენოთ ისინი მშვიდობიანობის დაცვის ინტერესებისათვის და ამავე დროს ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ აუცილებელია მთავარი ცეცხლი მივმართოთ ჩვენს საკუთარ ქვეყანაში მომქმედი მტრის წინააღმდეგ. „თავისი“ იმპერიალიზმის წინააღმდეგ. (ტაში).

ჩვენი ცენტრალური ლოზუნგია: მშვიდობიანობისათვის ბრძოლა და საბჭოთა კავშირის დაცვა

კაპიტალისტური სამყაროს შესაზარი სინამდვილის წინაშე, რომელიც სწრაფად მიექანება ომისაკენ, მილიონები მამაკაცები, დედაკაცები, ახალგაზრდობა, ჯარისკაცები შეშფოთებით ეკითხებიან თავის თავს: ნუ თუ ჩვენ განწირულნი ვართ? ნუ თუ არ შეიძლება თავიდან ავიცილოთ ეს საშინელი უბედურება!.

ჩვენ, კომუნისტებს, მუშათა კლასის ავანგარდს, შეგვიძლია პასუხი გავცეთ ამ კითხვას. ჩვენ ვიცით, რომ ომი კაპიტალისტური რეჟიმის აუცილებელი თანამგზავრია. კაპიტალისტურ საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაციაზე და მოგების წყურვილზე შეუძლია მხოლოდ ომის წარმოშობა. მაგრამ ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარების ყველა საკითხს საბოლოო ანგარიშით ბრძოლა სწყვეტს — მასების ბრძოლა. იმ ფართო მასებს, რომლებსაც ომი არ სურთ, ჩვენ მივმართავთ მოწოდებით: **„გავაერთიანოთ ჩვენი ძალები! ვიბრძოლოთ ერთად მშვიდობიანობისათვის! მოვაწყოთ ერთიანი ფრონტი ყველასი, ვისაც სურს მშვიდობიანობის დაცვა და შენარჩუნება!“.**

მშვიდობიანობისათვის ბრძოლა ყველაზე მძიმე მომენტშიაც კი უიმედო როდია. იგი უიმედო არ არის იმიტომ, რომ ვიბრძვით რა მშვიდობიანობისათვის, ჩვენ ახლა ვემყარებით მუშათა კლასის ძალღონეს, რომლის ხელში იმყოფება ძალაუფლება სსრ კავშირში. თვითეულ თვეს, თვითეულ კვირას, რომელსაც ჩვენ ვიგებთ, უდიდესი ღირებულება აქვს კაცობრიობისათვის. **ითვალისწინებს რა მასების ყველაზე უფრო სანუკვარ ზრახვებს და მთელი კაცობრიობის საარსებო ინტერესებს, კომუნისტური ინტერნაციონალი მეთაურობს ლაშქრობას მშვიდობიანობისა და საბჭოთა კავშირის დასაცავად. მშვიდობიანობის ლოზუნგი ჩვენი ცენტრალურ ლოზუნგად ხდება ომის წინააღმდეგ ბრძოლაში.**

ამხანაგებო, ჩვენ არამც თუ არ ვმალავთ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლოზუნგს, რომელიც ომის შემთხვევაში რჩება ბოლშევიკების ძირითად, ცენტრალურ ლოზუნგად, არამედ, შეუპოვრად ვიბრძვით რა მშვიდობიანობისათვის, ჩვენ გვსურს ამ ბრძოლის შედეგად რევოლუციური ავანგარდის გარშემო გავაერთიანოთ მუშათა მასები, მშრომელი გლეხობა, აგრეთვე წვრილი ბურჟუაზია, რომლებიც პროლეტარიატმა უნდა წაიყვანოს იმ გზით, რომ იმპერიალისტური ომი გადააქციონ ბურჟუაზიის წინააღმდეგ სამოქალაქო ომად.

ვიბრძვით რა მშვიდობიანობისათვის, ჩვენ ამით საუკეთესოდ ვიცავთ საბჭოთა კავშირს. არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს, რომ მომავალ ომს, თუგინდ იგი დაიწყოს როგორც ორი დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოს ომი, ან როგორც რომელიმე დიდი სახელმწიფოს ომი პატარა ქვეყნის წინააღმდეგ, აუცილებლად ექნება იმის ტენდენცია, რომ იგი გადაიქცეს ომად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და იგი აუცილებლად გადაიქცევა ამ ომად. ამ მომენტის გახანგრძლივების ყოველი წელიწადი, ყოველი თვე ჩვენთვის წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ საბჭოთა კავშირი შესძლებს უფრო ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიოს იმპერიალისტების თავდასხმას. ამრიგად, ჩვენი ბრძოლა მშვიდობიანობისათვის უშუალოდ დაკავშირებულია მშვიდობიანობის პოლიტიკასთან, რომელსაც სსრ კავშირი ახორციელებს.

მშვიდობიანობის საქმე და საბჭოთა კავშირის დაცვის საქმე ერთიდაიმავე საქმედ გამოდის და არ მოიძებნება არც ერთი პატიოსანი მუშა, რომელიც უარს იტყოდეს ამ საქმისათვის ბრძოლაზე.

საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობის პოლიტიკა

მე ვეჭვობ, არ არსებობს არც ერთი მშრომელი, არ არსებობს არავინ, ვისაც ეჭვი ეპარებოდეს, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკა მშვიდობიანობის პოლიტიკაა. და ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობის პოლიტიკას ახორციელებს, არ წარმოადგენს შემთხვევით მოვლენას, არ არის დაკავშირებული, რაიმე გარდამავალ კონიუნქტურასთან. ეს პოლიტიკა — ორგანული ხასიათის მოვლენაა, რომელიც გამომდინარეობს თვით საბჭოთა ხელისუფლების ბუნებიდან, მთელი მისი განვითარების ისტორიიდან, ყოველივე იმიდან, რასაც იგი წარმოადგენს, რასაც იგი აკეთებს.

ამ სამშვიდობო პოლიტიკის მეოხებით საბჭოთა კავშირმა აქამდე შესძლო დაემსხვრია იზოლაციისა და გარემოცვის ყველა გეგმა, რომლებსაც იმპერიალისტები სთხზავდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი იმპერიალისტური სახელმწიფო იძულებული გახდა დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინა საბჭოთა კავშირთან. სსრ კავშირმა დასდო თავდაუსხმელობის პაქტები ყველა თავის მოსაზღვრე ქვეყანასთან, იაპონიის გარდა, რომელმაც უარი სთქვა ამ პაქტის დადებაზე.

გენუის კონფერენციით დაწყებული და განიარაღების კონფერენციით დამთავრებული, სსრ კავშირი მუდამ გადაჭრით აყენებდა სრული განიარაღების საკითხს, მის შემდეგ, როდესაც მისი წინადადება სრული განიარაღების შესახებ უარყოფილიქნა, სსრ კავშირი გამოვიდა ნაწილობრივი განიარაღების წინადადებებით, ვინაიდან იგი ბოლომდე იბრძოდა ომის საფრთხის შესამცირებლად.

სოციალისტურ სახელმწიფოზე იმპერიალისტების თავდასხმის ისტორიულად განპირობებული გარდუვალობიდან, რომელსაც ლენინი აღნიშნავდა ჯერ კიდევ 1916 წელს და რომელიც მან ჯერ კიდევ 1915 წ., ჩამოაყალიბა, სსრ კავშირისათვის გამომდინარეობს იმის საჭიროება, რომ მან თავი დაიცვას და ამ მიზნით ძლიერი არმია იყოლიოს.

საერთაშორისო პროლეტარიატმა იცის და მას ესმის, წითელი არმია რომ არ ყოფილიყო, კაცობრიობა დიდიხანია ჩავარდნილი იქნებოდა ომის უფსკრულში; მას ესმის, რომ ამ მძლავრი ძალის არსებობა წარმოადგენს მშვიდობიანობისა და მუშათა კლასის გამარჯვების გარანტიას.

დარწმუნებული ვარ, რომ გამოვხატავ ამ კონგრესის ყველა დამსწრის ნება-სურვილს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ნება-სურვილს, თუ ჩვენს აღფრთოვანებულ სალამს ვუძღვნით წითელ არმიას.

გაუმარჯოს მუშურ - გლეხურ წითელ არმიას, მშვიდობიანობის ბურჯს, სოციალიზმისა და რევოლუციის არმიას, მთელი მსოფლიოს მშრომელთა იმედს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ურთიერთდახმარების ხელშეკრულებანი და საერთაშორისო პროლეტარიატი

ამხანაგებო, რამდენადაც საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა გულისხმობს, რომ პროლეტარული სახელმწიფო ითვალისწინებს წინააღმდეგობას კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, ამ პოლიტიკის ფარგლები მეტნაკლებად განისაზღვრება ამ წინააღმდეგობათა მასშტაბით, სიმწვავითა და ხასიათით; არ შეიძლება მისი კონკრეტული ფორმები არ შეიცვალოს მთელი საერთაშორისო ვითარების შეცვლასთან შეფარდებით.

სსრ კავშირმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ზოგიერთ იმ პატარა, სუსტ სახელმწიფოებთან დასაახლოვებლად, რომელთა დამოუკიდებლობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გერმანიის ფაშიზმის სამხედრო გეგმები ემუქრება. დაახლოვებამ ამ სახელმწიფოებთან, რომლებისთვისაც ნაციონალ - სოციალიზმის აგრესია უაღრესად კონკრეტულ და სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, როგორც იცით, გამოიწვია აგრესორის განსაზღვრა.

აღმოსავლეთის პაქტის დადების წინადადება აგრესორის განსაზღვრის შემდეგ იქნა წამოყენებული, ის წინადადება, რომელიც დაფუძნებულია მშვიდობიანობის განუყოფლობის აღიარებაზე, იმაზე, რომ შეუძლებელია გავაცალკევოთ აღმოსავლეთ ევროპაში მოსალოდნელი ომის საშიშროება დასავლეთის ომის საფრთხისაგან, — სააშკარაოზე, უნდა გამოეყვანა ომის ყველა გამჩაღებელი და დაერაზმა მშვიდობიანობის ყველა მეგობარი, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი.

(დასასრული მე-3 გვერდზე).

ამხ. ერკოლის მოხსენების დასასრული

როგორც ვიცით, აღმოსავლეთის პაქტის პროექტი უარჰყვეს ომის გამჩაღებელმა და ამას უნდა გამოეწვია განსაკუთრებით მჭიდრო კავშირის დამყარება საბჭოთა კავშირსა და იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც დაინტერესებული არიან აქტიური წინააღმდეგობა გაუწიონ ახლანდელ აგრესორებს; ამან მიგვიყვანა ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადებამდე საბჭოთა კავშირსა, საფრანგეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის.

საბჭოთა კავშირის მიერ დადებული ურთიერთდახმარების ხელშეკრულებანი — ეს დადებითი პოლიტიკის სერიოზული ფაქტებია; მათი მიზანია, დავრაზმოთ ყველა ის ძალა, რომლებიც კი შეიძლება ამ მომენტში მოვიმზადოთ მშვიდობიანობის აქტიური დაცვისათვის.

თეორიული თვალსაზრისით არ შეიძლება ეჭვი გამოიწვიოს იმან, რომ განსაზღვრულ პირობებში შესაძლებელია შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს სამხედრო თანამშრომლობასაც კი პროლეტარულ სახელმწიფოსა და რომელიმე კაპიტალისტურ სახელმწიფოს შორის. ამის შესახებ ლენინს არაერთხელ დაუწერია.

1918 წლის მაისში, როდესაც ინგლის - საფრანგეთის კოალიციამ საბჭოთა რესპუბლიკას სამხედრო შეთანხმების წინადადება მისცა, ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უარჰყო ის წინადადება, არა პრინციპული ხასიათის მოსაზრებით, არამედ პოლიტიკური მიზანშეწონილობის მოსაზრებით, ვინაიდან ასეთ შეთანხმებას იგი სასარგებლოდ არ სთვლიდა მაშინდელ ვითარებაში.

„ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ საერთოდ, — სწერდა მაშინ ლენინი, — სამხედრო შეთანხმებებს ერთერთ იმპერიალისტურ კოალიციასთან მეორის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ შეთანხმებას, არ არღვევს რა იგი საბჭოთა ხელისუფლების საფუძვლებს, შეუძლია განამტკიცოს მისი მდგომარეობა და ძალა წაართვას მის წინააღმდეგ რომელიმე იმპერიალისტური სახელმწიფოს შეტევას. მაგრამ ამ მომენტში ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ სამხედრო შეთანხმება ინგლის - საფრანგეთის კოალიციასთან“. (ლენინი, თხზ. კრებული, ტ. XXX, გვ. 384, მე-2 გამოცემა).

ამრიგად, ამხანაგებო, ბოლშევიკების პოზიცია ამ საკითხში სავსებით ნათელია.

ჩვენთვის სავსებით უდაოა, რომ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის მიზნები და კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიების პოლიტიკის მიზნები მთლად ერთიდაიგივეა. ამ მხრივ არავითარი ეჭვი ჩვენს რიგებში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. და ჩვენ ვიცავთ არამარტო საბჭოთა კავშირს საზოგადოდ, არამედ ვიცავთ კონკრეტულად მთელ მის პოლიტიკას და ყოველ მის აქტს. მაგრამ მიზნების ეს იგივეობა სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ყოველ მოცემულ მომენტში, ყოველი მოქმედების დროს და ყველა საკითხზე სავსებით ხვდებოდნენ ერთმანეთს ტაქტიკა, პროლეტარიატისა და კომპარტიებისა, რომლებიც ჯერ კიდევ იბრძვიან ხელისუფლებისათვის, და კონკრეტულ - ტაქტიკური ღონისძიებანი, საბჭოთა პროლეტარიატისა და საკ. კ.პ.(ბ)-ისა, რომლებიც უკვე ახორციელებენ ხელისუფლებას საბჭოთა კავშირში.

შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი მაგალითი, რომ რომელიმე კონკრეტულ საკითხში სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარულ პარტიათა პოზიციები ერთნაირი არ არის.

ავილოთ, მაგალითად, ბოლშევიკთა პარტიის პოლიტიკა 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ. მაშინ მუშათა კლასისა და მისი რევოლუციური ავანგარდის ამოცანა მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოში იყო ბრძოლა, მიმართული იმისკენ, რომ იმპერიალისტური ომი გადაექცია სამოქალაქო ომად ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ე. ი. ომად კაპიტალისტური წყობილების რევოლუციური დამხობისათვის. მაგრამ თებერვლის რევოლუციის შემდეგ მუშათა კლასის მდგომარეობა რუსეთში სხვანაირი იყო, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

იყო თუ არა ერთნაირი ის მიზანი, რომლისთვისაც იბრძოდნენ ბოლშევიკები, რუსეთში და სოციალ - დემოკრატები სხვა ქვეყნებში? დიახ, მიზანი ერთნაირი იყო. მაგრამ განა მაშინდელ კონკრეტულ მომენტში რუსეთის ბოლშევიკებისა და სხვა ქვეყნების რევოლუციური სოციალ - დემოკრატების პოზიციები სავსებით ერთიდაიგივე იყო ამ ძირითად საკითხში — მთავრობასთან დამოკიდებულების საკითხში? არა, ერთიდაიგივე არ ყოფილა. და ეს აიხსნებოდა რევოლუციური ბრძოლის განვითარების სხვადასხვა დონითა და კლასობრივ ძალთა სხვადასხვა განწყობილებით სხვადასხვა ქვეყანაში.

ამავე მიზეზით ლენინი სწერდა, რომ ბოლშევიკები წერეთლისა და კერენსკის დროს აღარ იყვნენ პორაჟენცები, თუმცა მათი პოლიტიკის მთავარ მიზნად წინანდებურად რჩებოდა იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად. და ამ დარგში ყველა ქვეყნის მუშათა კლასის ერთნაირი რევოლუციური პოლიტიკა თებერვლის რევოლუციის შემდეგ, კერენსკი — წერეთლის მთავრობის დროს, მოითხოვდა ისეთ ტაქტიკას, რომელიც განსხვავდებოდა იმ კაპიტალისტურ ქვეყანათა პროლეტარიატის ტაქტიკისაგან, სადაც რევოლუცია ჯერ კიდევ ძალიან არ იყო განვითარებული.

ჩვენმა ამხანაგებმა საფრანგეთის კომპარტიიდან და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიიდან შეიგნეს, რომ მათი პოლიტიკას უნდა განსაზღვრავდეს იგივე მარქსისტულ - ლენინური მეთოდი, რომელიც მოითხოვს კონკრეტული ვითარების გათვალისწინებას.

ამიტომ მათ თავისი ქვეყნების ბურჟუაზიისათვის შეეძლოთ და უნდა ეთქვათ შემდეგი:

„თქვენ, ბატონებო, ხელი მოაწერეთ ხელშეკრულებას — შეზღუდულ ხელშეკრულებას — საბჭოთა კავშირის მუშათა კლასთან, რომელსაც ძალაუფლება ხელთ უპყრია. მაგრამ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასთან, ჩვენთან თქვენ არავითარი ხელშეკრულება არ დაგიდებიათ, ჩვენ არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ თქვენ არ გამოიყენებთ თქვენს არმიას, რომელიც კვლავ რჩება კლასობრივ არმიად, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის წინააღმდეგ და წინააღმდეგ კოლონიური ხალხებისა, რომლებიც ჩვენი მოკავშირენი არიან იმპერიალიზმთან ბრძოლაში.

ყველა ამ მიზეზის გამო, ბატონებო, ჩვენ არ შეგვიძლია არც ის, რომ ხმა მივცეთ თქვენს სამხედრო ბიუჯეტებს, არც ის, რომ უარი ვთქვათ თქვენი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაზე. მაგრამ, — დაიხსომეთ, — ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვაინტერესებდეს ხელშეკრულება, რომელიც თქვენ საბჭოთა კავშირთან დასდეთ, და რომ ჩვენთვის სულერთი იყოს, როგორ გაატარებთ ამ ხელშეკრულებას. ჩვენ ვიცით, რომ თქვენს შორის მოიპოვებიან ამ ხელშეკრულების მოწინააღმდეგენი, რომ არის ბურჟუაზიის ნაწილი, რომელსაც სურს გააუქმოს იგი. ჩვენ კი მთელი ძალღონით დავიცავთ ამ ხელშეკრულებას, რადგან იგი არის მშვიდობიანობისა და საბჭოთა კავშირის დასაცავად ბრძოლის იარაღი. ჩვენ პარლამენტში ხმას მივცემთ ამ ხელშეკრულების დადებას და გამოვააშკარავებთ ისეთი პოლიტიკის გატარების ყოველგვარ ცდას, რომელიც არ ეთანხმება ან, ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს“.

ვისაც არ ესმის ამ პოზიციის ღრმა შინაგანი მთლიანობა, პოზიციისა, რომელზეც დგანან ჩვენი ამხანაგები საფრანგეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, ის ვერასოდეს ვერაფერს გაიგებს მოვლენათა ნამდვილ დიალექტიკაში და რევოლუციურ დიალექტიკაში, თუნდაც მას თავი მოჰქონდეს დიდად განათლებულ ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანად, როგორადაც თავი მოაქვს, მაგალითად, ლეონ ბლიუმს. მაგრამ მასებმა შეიგნეს ჩვენი რევოლუციური დიალექტიკა, როგორც ეს თავის სიტყვაში გვაცნობეს ამხანაგებმა საფრანგეთის კომპარტიიდან და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიიდან, — და ეს ჩვენთვის სავსებით საკმარისია. (ტაში).

ერთიანი ფრონტი მშვიდობიანობისა და საბჭოთა კავშირის დაცვისათვის ბრძოლაში

ამხანაგებო, ჩვენს უახლოეს, ძირითადს პოლიტიკურ ამოცანას მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლაში და ბრძოლაში საბჭოთა კავშირის დასაცავად წარმოადგენს მუშათა და გლეხთა მასების, წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის უფართოესი ერთიანი ფრონტის შექმნა. სწორედ ამ დარგში, ამხანაგებო, მშვიდობიანობისათვის ბრძოლის დარგში ყველაზე მეტი წარმატება ჩვენი ერთიანი ფრონტის პოლიტიკას უნდა ჰქონდეს.

შემთხვევითი როდია, რომ უკანასკნელ წლებში ერთიანი ფრონტის მიმართ სოციალ - დემოკრატიულ პარტიათა წინააღმდეგობის დასაძლევად პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგა ომის საწინააღმდეგო ბრძოლამ, რომლის ლოზუნგი პირველად წამოაყენეს ომის საწინააღმდეგო ამსტერდამის კონგრესზე ისეთმა აღგზნებულმა მებრძოლებმა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, როგორიც არიან რომენ როლანი და ანრი ბარბიუსი. კომუნისტები მთელი ძალღონით ხელს უწყობენ და მომავალშიაც შეუწყობენ ამ მოძრაობის განვითარებას. მაგრამ ჩვენ საკმარისად ვერ ჩავთვლით ვერც უკვე მოპოვებულ მიღწევებს ამ დარგში, ვერც ერთიანი ფრონტის წარმატებებს ომის საწინააღმდეგო ბრძოლაში საერთოდ.

სოციალ-დემოკრატიის პოზიცია

დაბნეულობისა და შინაგანი რღვევის მდგომარეობა, რომელსაც სოციალ - დემოკრატია განიცდის, განსაკუთრებით თავს იჩენს სოციალ - დემოკრატიული პარტიების დამოკიდებულებაში ომის საკითხთან. სოციალ - დემოკრატიულმა პარტიებმა, რომელთაგან ნაწილი რამდენიმე წლის წინათ გამოდიოდა, თუმცა საკმაოდ ბუნდოვანად, — სამშობლოს თავდაცვის წინააღმდეგ და ლაპარაკობდა ერთგვარ მასობრივ მოქმედებაზე ომის შემთხვევაში, — შემდეგ უფრო აშკარად იწყეს დაქანება იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობისაკენ ბურჟუაზიული სამშობლოს დაცვის საქმეში.

ამავე დროს სოციალ - დემოკრატ მუშათა მასებში ძლიერდება მისწრაფება იბრძოლონ ომის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის დასაცავად და მშვიდობიანობისათვის.

სოციალ - დემოკრატიულ პარტიებსა და ორგანიზაციებში ომის პრობლემასთან დაკავშირებით ხდება დიფერენციაციის პროცესი. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია მივესალმოთ სოციალ - დემოკრატიის მემარცხენე ფრთის ზოგიერთი ჯგუფის მიახლოვებას რევოლუციურ პოზიციებთან და ყოველნაირად გავაადვილოთ იგი. ჩვენ ამას მივაღწევთ, თუ სოციალ - დემოკრატ მუშებთან ერთიან ფრონტს დავამყარებთ და ამავე დროს არასოდეს არ ვიტყვით უარს იმაზე, რომ სისტემატურად ვამხილოთ ყოველგვარი მერყეობა და თეორიული ბუნდოვანება ამ საკითხში, რომელიც მარქსისტულ - ლენინური მოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე რთული, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია.

პაციფისტური მოძრაობა

პაციფისტურ მოძრაობაშიც ჩვენ ფრიად საგულისხმო დიფერენციაციას ვამჩნევთ. იმ ომის საშინელებათა შეგნება, რომელსაც კაპიტალისტები, ფაშისტები ამზადებენ, ომის მიმართ პაციფისტურ წინააღმდეგობას იწვევს ყველა ცოტადთუბევრად მნიშვნელოვანი ფენის მხრივ. ჩვენ, რევოლუციურ მუშებს, გვესმის ამ პაციფისტურად განწყობილი მასის მისწრაფება და მართებულად ვაფასებთ მას, თუნდაც ეს მისწრაფება ზოგჯერ გამოხატულებას ჰპოებდეს ჯერ კიდევ გულუბრყვილო და პოლიტიკურად არასწორ ფორმაში.

ჩვენი ადგილი მასებთანაა, რომელთაც უნდა განვუმარტოთ, ის, რაც მათ ჯერ კიდევ არ ესმით, და ამავე დროს დავეხმაროთ მათ იბრძოლონ ყოველივე იმის განსახორციელებლად, რაც კი არსებითად სამართლიანია და ჰუმანიურია, მათს მისწრაფებაში მშვიდობიანობისაკენ. თუ პაციფისტურად განწყობილი მასები დაამყარებენ კავშირს მუშათა კლასთან და მის ავანგარდთან, მათ შეუძლიათ გახდნენ მძლავრ ზღუდედ ომის წინააღმდეგ და მძლავრ ზღუდედ ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

ჩვენ უნდა შევიჭრათ პაციფისტურად განწყობილ მასებში და გავსწიოთ მათ შორის ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ორგანიზაციისა და მოქმედების ისეთი ფორმები, რომლებიც შეეფერებიან ამ მასების შეგნების დონეს და საშუალებას მისცემენ მათ გადადგან პირველი ნაბიჯი ნამდვილი ბრძოლისაკენ ომის წინააღმდეგ და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ბრძოლა მასების უშუალო მოთხოვნებისათვის

ბრძოლა მუშათა კლასისა, მშრომელი გლეხობისა და მშრომელი მოსახლეობის ყველა ფენის უშუალო ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნებისათვის პირველ-ხარისხოვან როლს უნდა ასრულებდეს მშვიდობიანობისათვის ბრძოლის ერთიანი ფრონტის ორგანიზაციაში. ომის მომზადება, რომელსაც ბურჟუაზია მშრომელთა ხარჯზე იწყებს, უკვე თავის თავად იძულებულს ჰხდის მასებს იბრძოლონ თავისი უშუალო მოთხოვნებისათვის.

შეხედეთ, რა სარეკორდო ციფრებს მიაღწია სამხედრო ბიუჯეტებმა უკანასკნელ წლებში! ეს იმას ნიშნავს, რომ განუწყვეტლივ იზრდება საგადასახადო ტვირთი, რომელიც აწვება მუშებს, გლეხობას, ხელოსნებს, წვრილ მედუქნეებს. სამხედრო მრეწველობის მოგებაც სარეკორდო ციფრებს აღწევს, ხოლო ხელფასი უფროდაუფრო მცირდება და ხელფასის ეს შემცირება განსაკუთრებით საგრძნობია იმ ქვეყნებში, რომლებიც ომისათვის ყველაზე უფრო ენერგიულად ემზადებიან.

ომის მომზადებას თან სდევს, განსაკუთრებით ფაშისტურ ქვეყნებში, ღონისძიებანი მთელი სამხედრო მრეწველობის რეორგანიზაციის მხრივ და ქვეყნის მთელი ეკონომიკის შეგუება ომის საჭიროებებთან, ხოლო ეს უშუალო გავლენას ახდენს მუშების როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

სამწუხაროდ, ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ აქ ვამჩნევთ სერიოზულ ხარვეზს მშვიდობიანობისათვის ბრძოლის ორგანიზაციაში.

პროლეტარიატისა და მშრომელი მასების რეალური ინტერესებისათვის ბრძოლაში, ექსპლოატატორებისა და მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლაში ხდება მუშებისა და მთელი მშრომელი მასების აღზრდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. აქ იჭედება ის იარაღი, რომლითაც ჩვენ საბოლოო ანგარიშში საშუალებას გვაძლევს ჩავშალოთ შოვინისტური პროპაგანდა.

ქალები მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში

მეორე სერიოზულ ხარვეზს წარმოადგენს მუშაობის არასაკმაობა ქალთა შორის. აშკარად უნდა აღვიაროთ, რომ ქალთა შორის მუშაობას ჩვენ, ზოგიერთი ქვეყნის კომპარტიების გარდა, ამჟამად ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ, ვიდრე წინათ ვაქცევდით. ომის საწინააღმდეგო ბრძოლის თვალსაზრისით, ეს ერთ-ერთი ფრიად სერიოზული ხარვეზია, მით უფრო, რომ ბურჟუაზია, ფაშისტები უდიდეს ყურადღებას აქცევენ ქალების ორგანიზაციას სხვადასხვა ფორმით. სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, რომ მთელი ეს მუშაობა ბურჟუაზიის არავითარ შედეგს არ აძლევსო. რა თქმა უნდა, პაციფისტური განწყობილება ქალთა მასებს შორის ფრიად ძლიერია. ჩვენ ვიცით, რომ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებში, სხვადასხვა ქვეყანაში ომის წინააღმდეგ არაერთხელ განმეორებულ საპროტესტო გამოსვლებში, მაგალითად, საგაზო მანევრების წინააღმდეგ, ქალები პირველ-ხარისხოვან როლს თამაშობდნენ. მაგრამ ჩვენ ამან არ უნდა დაგვაკმაყოფილოს.

ქალთა მასების ორგანიზაციის იმ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებსაც ბურჟუაზია, კერძოდ, ფაშისტები, მიმართავენ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვუპირისპირებთ საკმაოდ ეფექტურ მუშაობას. ჩვენ ერთ ადგილს ვტკეპნით, ჩვენი მუშაობა ამ დარგში არ დგას ჩვენი პარტიების ამოცანათა სიმაღლეზე, რომლებიც ერთად ერთნი ცდილობენ ქალების სრულ განთავისუფლებას და თანმიმდევრულად იბრძვიან მშვიდობიანობისათვის.

მშვიდობიანობისათვის ბრძოლა და ახალგაზრდობა

ასეთსავე ჩამორჩენას ვამჩნევთ ომის წინააღმდეგ ახალგაზრდობის ერთიანი ფრონტის ორგანიზაციაში. მაგრამ ახალი იმპერიალისტური ომის მომზადება ყველაზე უფრო ხომ ახალგაზრდობაზე ახდენს გავლენას! ბურჟუაზია განსაკუთრებით ენერგიულად სწორედ ახალგაზრდობაში იწყებს ომის მომზადებას. ფაშიზმი პირველ ყოვლისა ახალგაზრდობაზე ახდენს გავლენას თავისი შოვინისტური სამხედრო პროპაგანდით. მეორე მხრივ, მილიტარიზაციის ღონისძიებათა შედეგად ახალგაზრდობა თითქმის ყველა ქვეყანაში უკვე ჩათრეულია ომის საშინელ მექანიზმში.

ბურჟუაზია ფართოდ ჰშლის მუშაობას ახალგაზრდობის მილიტარიზაციის მიზნით. ამის საწინააღმდეგოდ ჩვენც ასევე ფართოდ უნდა გავაჩაღოთ მუშაობა, რათა ახალი თაობა ვიხსნათ ბურჟუაზიისა და ფაშიზმის გავლენისაგან. მართალია, ამ ბოლო დროს მიღწეულია ერთგვარი წარმატება ამ მიმართულებით, მაგრამ ამხანაგებო, მაინც უნდა აღვიაროთ, რომ ამ მხრივ ჩვენ მთლად ან ძალიან ნაკლებად აქტიურნი ვართ.

არ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომ მაშინ როდესაც ბურჟუაზიულმა პარტიებმა და მიმდინარეობებმა ფაშისტურით დაწყებულმა და კაპიტალისტურით გათავებულმა, შესძლეს ახალგაზრდობის ფართოდ დარაზმული მოძრაობის შექმნა, ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ მივაღწიეთ ამ მიზანს. ამაში მდგომარეობს ჩვენი ომსაწინააღმდეგო მუშაობის ერთერთი სუსტი მხარე. და ამ ჩამორჩენაში რასაკვირველია, უკანასკნელ როლს არ თამაშობს ის ფაქტი, რომ სათანადოდ ვერ ვაფასებდით ბურჟუაზიის გავლენას ახალ თაობაზე.

ჩვენ არ უნდა ვშიშობდეთ და უნდა მივდიოდეთ იქ, სადაც ახალგაზრდობაა. ეს ნიშნავს, რომ მშვიდობიანობისათვის და ომის წინააღმდეგ ახალგაზრდობის საბრძოლო ერთიანი ფრონტის ორგანიზაციის ფორმები უნდა იყოს მეტად მოქნილი, უაღრესად დიფერენცირებული სხვადასხვა ქვეყნისა და პირობების მიხედვით.

ჩვენ არ გვსურს ახალგაზრდობა ფაშიზმს დავუთმოთ. ჩვენ არ გვსურს დავუშვათ, რომ ახალგაზრდობა ომის გამჩაღებელთა დამკვრელ რაზმად გადიქცეს. ჩვენ გვსურს ახალგაზრდობა მშვიდობიანობისათვის ბრძოლის დამკვრელ რაზმად გავხადოთ. (ტაში).

არმია და ჩვენი ამოცანები

ამხანაგებო, პირველი მომენტი, რომელიც ამჟამად ჩვენს მუშაობას განსაზღვრავს არმიაში, არის ის, რომ კაპიტალისტური არმიები უფროდაუფრო მასობრივ ხასიათს ღებულობენ.

ჯერ კიდევ 1935 წლამდე გერმანიის სამხედრო შეიარაღებამ შესცვალა სამხედრო ძალთა წონასწორობა, და ახალი ბიძგი მისცა გამალებულ შეიარაღებას. 1935 წლის დამდეგიდან, მას შემდეგ რაც გერმანიის ნაციონალ - სოციალიზმმა გერმანიის არმია აღადგინა სავალდებულო სამხედრო ბეგარის საფუძველზე, ძალთა ურთიერთობა ევროპაში ძირფესვიანად შეიცვალა. იმ გარემოებამ, რომ ევროპის ცენტრში არსებობს უაღრესად შეიარაღებული და მექანიზებული გიგანტური არმია, რასაც ერთვის გერმანიის ფაშიზმის გაცოფებული აგრესიულობა, უსაზღვროდ გაძლიერა მეტოქეობა შეიარაღებაში.

მეორე მხრივ, ტექნიკური პროგრესი თავისთავად მასობრივ ხასიათს აძლევს არმიებს, ვინაიდან რამდენად უფრო რთული ხდება შეიარაღება, იმდენად უფრო მეტი ადამიანია საჭირო არმიის მომსახურებისათვის.

არმიის მასობრივ ხასიათზე გეზის აღება, რომელიც ასე ნათლად გამოხატულია უკანასკნელ ბურჟუაზიულ სამხედრო კანონებში, რაც მიმართულია სამხედრო სწავლებისა და უკლებლივ მთელი მოსახლეობის მობილიზაციისაკენ, აღრმავებს წინააღმდეგობას ბურჟუაზიული არმიების მასობრივ ხასიათსა და იმ რეაქციულ მიზნებს შორის, რისთვისაც ბურჟუაზია იყენებს ამ არმიებს. ფაშიზმის ზრდასთან ერთად ეს წინააღმდეგობაც იზრდება. სწორედ ამიტომ, ითვალისწინებს რა ამ გარემოებას, ბურჟუაზია, რომელსაც არ ძალუძს შეასუსტოს თავისი არმიის მასობრივი ხასიათი, მიმართავს მის ფაშიზაციას იმისათვის, რათა თავიდან აიცდინოს ჯარისკაცთა ბუნტის საფრთხე.

არმიის ფაშიზაცია გამოიხატება მთელ რიგ ორგანიზაციულ ხასიათის ღონისძიებებში, განსაკუთრებით სპეციალური პროპაგანდის ორგანიზაციაში თვით არმიის შორის.

ბურჟუაზიული დემოკრატიის ქვეყნებში ჩვენ უნდა გამოვააშკარავოთ არმიის ეს ფაშიზაცია, როგორც ომის კონკრეტული მომზადების ერთერთი საშიში ფორმა. ამ ფაშიზაციის საწინააღმდეგოდ ვალდებული ვართ ჩვენს დაჟინებითსა და თავდადებულ ბრძოლაში მშვიდობიანობისათვის არმიაში. გავაჩაღოთ ჩვენი ანტიფაშისტური მუშაობა. ფაშისტებს ჩვენ ვერ დავუთმობთ ჯარისკაცთა მასას. ფაშიზმის ყოველი შეჭრა არმიაში საფრთხეს უმზადებს მშვიდობიანობას. ყოველი ნამდვილი ღონისძიება, რომელიც მიმართულია ამ შეჭრის წინააღმდეგ, ხელს უწყობს მშვიდობიანობის დაცვას.

არ შეიძლება სერიოზული ლაპარაკი ერთიანი ფრონტის და სახალხო ფრონტის მთავრობის შექმნაზე ფაშიზმისათვის გზის გადასაღობავად, ისე რომ ამავე დროს არ დავსვათ საკითხი თანამედროვე ბურჟუაზიული არმიის სახალხო არმიად გადაქცევის შესახებ, ისეთ არმიად, რომელიც ემყარება ხალხთან უაღრესად მჭიდრო კავშირს, სამხედრო სამსახურის ვადის შეკვეცას, ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ყველა სახის იარაღს აძლევს ხალხს და საბოლოოდ აღმოფხვრის რეაქციულ კადრებს, არმიაში და განსაკუთრებით უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობაში. ყველა ამ ღონისძიებით ჩვენ ის გვინდა, რომ გავაცამტვეროთ ფაშიზმის ერთერთი დასაყრდენი პუნქტი და დავაბრკოლოთ მისი სამხედრო მომზადება.

ამრიგად, ეს ღონისძიებები ამჟამად მეტად სასარგებლოა და აუცილებელია ევროპის იმ ქვეყნებში, რომლებსაც გერმანიის ნაციონალ-სოციალიზმის თავდასხმა ემუქრება. და სადაც ეროვნულ - განმათავისუფლებელი ომის პერსპექტივა რეალურია. ასეთ პირობებში უაღრესად საჭიროა ყველაზე უფრო გაბედული ღონისძიებანი არმიის დემოკრატიზაციისათვის. ამა თუ იმ პატარა ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი გერმანიის ნაციონალ - სოციალიზმის წინააღმდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში დამთავრდება გამარჯვებით, თუ ეს არმია რევოლუციური სულით იქნება გამსჭვალული.

მაშასადამე, მთავარი ამოცანა მდგომარეობს არმიის ხალხთან კავშირის დამყარებაში, და ჩვენ ვიბრძვით ჯარისკაცთა თვითეული ნაწილობრივი მოთხოვნის დასაცავად, მოთხოვნების, რომლებიც ამ უკანასკნელ დროს ჯარისკაცთა მასების მოძრაობის გამოსავალ პუნქტს წარმოადგენს ბურჟუაზიულ არმიებში.

ეს ახალი მიდგომა ჩვენი მუშაობის ხაზით არმიაში, მასობრივი მუშაობის ხაზით, რომელსაც განსაზღვრული დადებითი შინაარსი გააჩნია და რომლის მიზანს შეადგენს ფაშიზმის საწინააღმდეგო ძალის შექმნა არმიაში, საუკეთესო წინაპირობაა იმისათვის, რომ პრაქტიკულად გავატაროთ ბოლშევიკური ხაზი იმ მომენტში, როდესაც ომი იფეთქებს: კომუნისტებმა მასებს არ უნდა მოუწოდონ ბოიკოტისაკენ სამხედრო სამსახურისადმი ან მის უარყოფისაკენ, არამედ უნდა შევიდნენ არმიაში და თავისი მუშაობის სიმძიმის ცენტრი იქ გადაიტანონ. ომის რეალური საფრთხის წინაშე, ზოგიერთი იმ შეცდომის გათვალისწინებით, რომლებიც მაგალითად, იტალიის კომპარტიამ დაუშვა, ჩვენ ეს ბოლშევიკური თვალსაზრისი აქ უნდა განვიმეოროთ და მას ხაზი გავუსვათ. ჩვენ ანარქისტები როდი ვართ. მობილიზაციის ბოიკოტი, არმიის ბოიკოტი, საბოტაჟი საწარმოებში, უარი სამხედრო ბეგარის მოხდაზე და სხვ. ყოველივე ეს ჩვენი ომსაწინააღმდეგო ბრძოლის ფორმები როდია, რამდენადაც ისინი გვაშორებენ მასებს, მათ შეუძლიათ მხოლოდ დახმარება გაუწიონ ბურჟუაზიას. უფრო მეტი გაბოროტებით თავს დაესხას კომუნისტურ ავანგარდს.

ბრძოლა მშვიდობიანობისათვის და ბრძოლა რევოლუციისათვის

ამხანაგებო, ვათავებ ჩემს მოხსენებას.

ლენინ - სტალინის მოძღვრებას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ არა მარტო ღრმესად სწავლობს მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, არამედ იგი რამოდენჯერმე პრაქტიკულადაც იყო გამოყენებული ომის შემდგომ პერიოდში.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ ამ გამოცდილების საფუძველზე ვამტკიცოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ომი ატყდება, ჩვენს რიგებში არავითარი მერყეობა, არავითარი შეცდომა არ იქნება? ასეთი დასკვნის გამოყვანა გონივრული არ იქნებოდა, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ იმ მომენტში, როცა ომი იფეთქებს ხოლმე, ბურჟუაზია მთელი ძალღონით სცდილობს გავლენა მოახდინოს მუშათა კლასზე, და კომუნისტური ავანგარდი მთელ რიგ უდიდეს სიძნელეებს აწყდება. რაც ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, ეს ის არის, რომ 1914 წლისაგან განსხვავებით, ყველა ქვეყანაში უკვე არა ცალკეული ამხანაგები, არამედ მტკიცე და დისციპლინიანი ავანგარდი დარჩება მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური მოძღვრების ერთგული და მთელ თავის ძალღონეს მოანდომებს იმას, რომ ეს მოძღვრება, რუსეთის ბოლშევიკთა მაგალითის მიხედვით, პრაქტიკაში გამოიყენოს. ეს არის პირველი ფაქტი, რომლის მთელ მნიშვნელობას ბურჟუაზია ძალიან მალე მიჰხვდება.

მაგრამ თვითონ ბურჟუაზიის მდგომარეობა ახლა, რევოლუციებისა და ომების მეორე ტურის მიჯნაზე, ღრმად განსხვავდება 1914 წელს არსებული მდგომარეობისაგან. ომმა შეიძლება იფეთქოს სწორედ იმ მომენტში, როცა მასების უკმაყოფილება კაპიტალისტური წყობილებით საყოველთაო ხდება და ფართოდ ედება მუშათა ფენებს, იმ მომენტში, როცა „იერიშის იდეა მწიფდება მასების შეგნებაში“, მომენტში, როცა საბჭოთა კავშირის მაგალითი არაჩვეულებრივად ამაღლებს სოციალიზმის უფროდაუფრო მზარდ პრესტიჟს აზიაში, აფრიკაში; სამხრეთ-ამერიკაში უკვე გაისმის კოლონიურ ხალხთა აჯანყების გრგვინვა.

უკანასკნელი მსოფლიო ომის გაჩაღებიდან მხოლოდ 2—3 წლის შემდეგ დაიწყო ჯარისკაცთა მასობრივი აჯანყება ფრონტზე და მოსახლეობის აჯანყება ზურგში. ახლა კი საერთაშორისო მდგომარეობისა და მასობრივი მოძრაობის და მათი პერსპექტივების უაღრესად ობიექტურ ანალიზს ჩვენ იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ომის დასაწყისი ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის იქნება რევოლუციური კრიზისის დასაწყისი: ამ კრიზისის დროს ჩვენ გავუძღვებით მასებს და მთელი ძალღონით ვიბრძოლებთ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის, ჩვენ ვიბრძოლებთ რევოლუციისათვის და ძალაუფლების დაპყრობისათვის (ტაში).

საბჭოთა კავშირის არსებობა წარმოადგენს მსოფლიო - ისტორიული მნიშვნელობის ახალ ფაქტორს, რომელიც ძირფესვიანად სცვლის განვითარების მთელი ახლანდელი პერიოდის ხასიათს, მთელი ჩვენი ტაქტიკა ომის შემთხვევაში უნდა განსაზღვროს ამ ფაქტორის გათვალისწინებამ.

რეზოლუციაში, რომელსაც ჩვენ მე-7 კონგრესს ვუდგენთ, უფრო მეტად ვაზუსტებთ ამ დირექტივას და აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კონტრრევოლუციური ომის შემთხვევაში კომუნისტებმა უნდა მოუწოდონ ყველა მშრომელს — ყველა საშუალებით და ყოველგვარი მსხვერპლის გაღებით ხელი შეუწყონ წითელი არმიის გამარჯვებას იმპერიალისტურ არმიებზე. (ტაში).

ვფიქრობ, რომ ეს დებულება საკმაოდ ნათელია. იგი შეეფერება მშრომელთა მილიონების განწყობილებას.

ჩვენმა კონგრესმა დასახა მოქმედების ლენინური ხაზი. ეს უკვე გამარჯვების პირველი საწინდარია. ჩვენ გვაჩნია დიდი ძალა, — ბოლშევიკების პარტია. ჩვენ გვყავს ბელადი — ამხანაგი სტალინი (ტაში); მის შესახებ ჩვენ ვიცით, რომ იგი ყოველთვის ყველაზე ძნელ მომენტებში პოულობდა ხაზს, რომელსაც გამარჯვებამდე მივყავდით; ჩვენი ბელადი — ამხანაგი სტალინი, რომელსაც სამოქალაქო ომის წლებში ლენინი ჰგზავნიდა ყველაზე ძნელ ფრონტზე, სადაც კი გამარჯვება საბჭოთა კავშირის მშრომელებს, თითქოს, ხელიდან ეცლებოდათ, და ყველგან, პერმიდან ცარიცინამდე, პეტროგრადიდან სამხრეთის ფრონტამდე, სტალინი მდგომარეობას გამოასწორებდა ხოლმე, ამარცხებდა მტერს, უზრუნველჰყოფდა გამარჯვებას (ტაში).

ბოლშევიკების მსოფლიო პარტია და სტალინი უზრუნველჰყოფენ იმას, რომ ჩვენ მსოფლიო მასშტაბით გავიმარჯვებთ, მაშ, შევამჭიდროვოთ ჩვენი რაზმები, ამხანაგებო, ბრძოლაში იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ბრძოლაში მშვიდობიანობისათვის, საბჭოთა კავშირის დასაცავად.

უფრო მაღლა ავწიოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის დროშა!

გაუმარჯოს რევოლუციისა და სოციალიზმის ზეიმს მთელს მსოფლიოში!

(მქუხარე ხანგრძლივი ტაში. დელეგატები ფეხზე დგებიან და მიესალმებიან ამხ. ერკოლის. მღერიან „ინტერნაციონალს“. გაისმის ყველა დელეგაციის მისალმების შეძახილები. უყიინა „ვაშა“. ხანგრძლივი ოვაცია).

გამოფენა ამხ. ლ. ბერიას მოხსენების საილუსტრაციოდ ამხ. სტალინის პორტრეტები, მისი ბათომში ცხოვრების და მუშაობის დოკუმენტები

ბათომი, 16 აგვისტო. საქართველოს კ.პ. (ბ) აჭარისტანის ოლქკომის პარტკაბინეტში ამხ. ბერიას მოხსენების — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის საკითხისათვის“ დამუშავების დღეებისათვის გაიხსნა სპეციალური გამოფენა, რომელიც აშუქებს ამ მოხსენებაში აღძრულ თემებს. გამოფენაზე წარმოდგენილია ამხ. სტალინის მთელი რიგი ისტორიული პორტრეტები, დაწყებული მოწაფეობის, ახალგაზრდობის დროიდან; მრავალი დოკუმენტი, რომელიც ეხება მის ცხოვრებას და მუშაობას ბათომში; იმ ისტორიული ადგილების სურათები, სადაც მზადდებოდა და ვითარდებოდა რევოლუციური ამბები, და მრავალი სხვა დოკუმენტი, რომლებიც შეაგროვეს არქივებში ხანგრძლივი, მუყაითი მუშაობის შემდეგ.

გამოფენის ორგანიზაციაში ჩაბმული იყვნენ აჭარისტანის საბჭოთა მხატვრები. გამოფენაზე ყურადღებას იქცევს ამხ. სტალინის ვეებერთელა პორტრეტი, რომელიც ეკუთვნის სოლვიჩეგოდსკში მისი გადასახლების პერიოდს. პორტრეტი შესრულებულია მხატვარ ილიუშინის მიერ. აგრეთვე საყურადღებოა მხატვარ ქავთარაძის ესკიზები თემებზე: ამხ. სტალინის დაპატიმრება ბათომში 1902 წელს, მუშათა დემონსტრაციის დახვრეტა 1902 წელს, საპყრობილის საკანი, სადაც ამხ. სტალინი იჯდა და სხვ.

გამოფენა დიდ პოპულარობით სარგებლობს ბათომის მშრომელთა შორის, რომლებიც მის დასათვალიერებლად დაიარებიან ორგანიზებულად, მასობრივი ექსკურსიებით.

* *

ბათომი, 16 აგვისტო. ბათომის ისტორიულ ადგილებს, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა ამხ. სტალინი, ყოველთვის დიდი ყურადღებით ეპყრობოდნენ ბათომის მშრომელები და მრავალი ექსკურსანტი, რომლებიც მთელი საბჭოთა კავშირიდან ბათომში მოდიან.

ამხ. ბერიას მოხსენების დამუშავების დღეებში იწყობა მშრომელთა მასობრივი ექსკურსიები ამ ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად. ბათომის ძველი პროლეტარები ამ ექსკურსიებზე გვიზიარებენ თავის მოგონებებს იმ დიადი დღეების შესახებ, როცა მათ შორის წრეებში ცხოვრობდა და მუშაობდა ამხ. სტალინი.

ყველა ეს ისტორიული ადგილი აღბეჭდილია მრავალ ფოტოსურათზე.

აკადემიკოსი ვ. პ. ვოლგინი ტფილისში

ტფილისში ჩამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მუდმივი მდივანი აკადემიკოსი **ვ. პ. ვოლგინი**. მასთან ერთად ჩამოვიდა პროფ. ა. ა. ბუსიგინი. მათი ჩამოსვლა დაკავშირებულია მეცნიერებათა აკადემიის ამიერ-კავკასიის ფილიალის რეორგანიზაციასთან და აკადემიის დამოუკიდებელი ფილიალების შექმნასთან საქართველოში, აზერბეიჯანში და სომხეთში.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში 21 აგვისტოს, აკადემიკოსი **ვ. პ. ვოლგინის** თავმჯდომარეობით, გაიმართა თათბირი ფილიალის ცხოვრებისა და მუშაობის ძირითად საკითხებზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილემ პროფ. **ქ. ბორდელაძემ**, ფილიალის პასუხისმგებელმა მუშაკებმა და ფილიალის სისტემაში შემავალ სამეცნიერო დაწესებულებათა და ინსტიტუტთა წარმომადგენლებმა—პროფ. **ნ. მუსხელიშვილმა**, პროფ. **დ. სოსნოვსკიმ**, **ვ. წულაძემ**, პროფ. **ა. ჯანელიძემ** და სხვ.

თათბირმა საჭიროდ დაინახა, რომ საქართველოს ფილიალს მეთაურობდეს აკადემიკოსი, რომელსაც საშუალება ექნება დაუთმოს მას ხელმძღვანელობისათვის საკმაო დრო; ფილიალს უნდა ჰყავდეს ორი მოადგილე და სწავლული მდივანი ადგილობრივ მეცნიერულ ძალებიდან. სასურველად იქნა ცნობილი ფილიალის პრეზიდიუმში შეიყვანონ ფილიალის ძირითად ინსტიტუტთა და დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი. გარდა ამისა, განზრახულია ფილიალის საბჭოს შექმნა, რომელშიაც შევლენ მთელი რიგი აკადემიკოსები და აგრეთვე სახკომისარიატებისა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენელნი.

ფილიალთან განზრახულია დაარსდეს აგრეთვე სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო.

თათბირის მონაწილეებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ გაძლიერდეს ცენტრთან კავშირი, გაფართოვდეს ასპირანტურა, გაუმჯობესდეს მშენებლობისა და კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება და სხვ.

აკადემიკოსი ვ. პ. ვოლგინი და პროფ. ა. ა. ბუსიგინი ეწვევიან აკად. ნ. ი. მარის სახელობის კავკასიის მცოდნეობის ინსტიტუტს მისი მუშაობის საკითხის მოსაწესრიგებლად, იმასთან დაკავშირებით, რომ განზრახულია მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალთან საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექტორის მოწყობა.

([illegible]).

საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის შედეგები

ამხ. მანუილსკის მოხსენება კომინტერნის VII მსოფლიო კონგრესზე

(შემოკლებული სტენოგრამა)

(ამხ. მანუილსკის გამოჩენას ტრიბუნაზე მთელი კონგრესი ფეხზე ადგომით, მქუხარე ტაშით და მისასალმებელი შეძახილებით ხვდება. ამხ. მანუილსკი: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს". მქუხარე ოვაცია. „ინტერნაციონალი". „ინტერნაციონალის" შემდეგ კვლავ ტაშის გრიალი).

სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში

კომუნისტური ინტერნაციონალის VI კონგრესიდან VII კონგრესამდე ხალხთა ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა მოხდა — სოციალიზმის საბოლოო და სამუდამო გამარჯვება საბჭოთა კავშირში (ტაში). ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ეს არის საერთაშორისო მუშათა კლასის მეორე დიდი გამარჯვება მსოფლიო კაპიტალიზმზე, რამაც ახალი ეპოქა შექმნა კაცობრიობის ისტორიაში.

აძლიერებს რა ეკონომიურად და პოლიტიკურად მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ციხე-სიმაგრეს, სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში დასაბამს აძლევს ახალ ხანას, ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, იგი მოასწავებს მსოფლიო ასპარეზზე ძალთა განწყობილების ახალ უდიდეს ძვრას სოციალიზმის სასარგებლოდ, კაპიტალიზმის საზიანოდ, ახალი ეტაპის დასაწყისს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის განვითარებაში. ეს გამარჯვება, რომელიც ჩვენი ქვეყნის მუშებმა და კოლმეურნეებმა მოიპოვეს საკ. კ. პარტიის (ბ), ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და ჩვენი დიდი სტალინის ხელმძღვანელობით და მთელი მსოფლიო პროლეტარიატის აქტიური სოლიდარობით, მოასწავებს ოქტომბრის მიერ წარმოშობილი კომუნისტური ინტერნაციონალის გამარჯვებას, მისი პროგრამის, მისი პოლიტიკის მისი ტაქტიკის გამარჯვებას.

კომუნისტური ინტერნაციონალის ამ გამარჯვების მნიშვნელობა მით უფრო დიდი და საგულისხმოა საერთაშორისო მუშათა კლასისათვის, რომ იმავე პერიოდში მსოფლიო მუშათა მოძრაობა მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში (გერმანია, ავსტრია და სხვ.), სადაც ხელმძღვანელ როლს მუშათა მოძრაობაში სოციალ-დემოკრატია და რეფორმისტული პროფკავშირები ასრულებდნენ, დამარცხდა, რაც წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიის რეფორმისტული პოლიტიკისა და კაპიტალისტური ტაქტიკის დამარცხებას, მეორე ინტერნაციონალის დამარცხებას.

სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში ნათელ შუქს ჰფენს საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის განვითარების ორ გზას. კომუნისტური ინტერნაციონალის გზას და მეორე ინტერნაციონალის გზას. კომინტერნის გზამ პროლეტარული რევოლუციით მიგვიყვანა სოციალიზმის გამარჯვებამდე დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე, საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის პოზიციების ახალ მძლავრ განმტკიცებამდე, ხოლო მეორე ინტერნაციონალის გზას, რეფორმიზმის გზას მივყევართ მუშათა დამარცხებისაკენ, ფაშიზმის გამარჯვებისაკენ. ამ ორი შედეგის შედარება ყველა კაპიტალისტური ქვეყნის პროლეტარიატის შეგნებაში რევოლუციას ახდენს და არც შეუძლია არ მოახდინოს იგი, იწვევს ღრმა შემობრუნებას და გადაჯგუფებას მის რიგებში.

მაგრამ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების მნიშვნელობა გაცილებით უფრო ფართოა და უფრო ღრმა. თავისი სოციალისტური წარმატებებით ჩვენი ქვეყანა ხალხთა ამოძრავებას იწყებს. ჩვენი წარსულის შედარება ჩვენს აწმყოსთან ადამიანთა უდიდესი მასების დარწმუნებას იწყებს ჩვენი გზის სისწორეში, ბოლშევიზმისა და კომუნისტური ინტერნაციონალის გზის სისწორეში.

და დღეს კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესს ამ მიღწევებით მარტო ჩვენი პარტია როდი ხვდება.

ეს ჩვენი ახალგაზრდა სოციალისტური ქვეყანა, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის ნებით დაყენებულია მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ინტერესების სამსახურში (მქუხარე ტაში), მთელი მსოფლიოს მშრომელთა აბარებს იმის ანგარიშს, თუ როგორ შეასრულა მან თავისი საერთაშორისო მოვალეობა მათ წინაშე (მქუხარე ტაში). დღეს ჩვენი ქვეყანა მოხსენებას უკეთებს იმპერიალიზმის მიერ ჩაგრულ და დამონებულ მილიარდნახევრიან კაცობრიობას, თუ როგორ აღორძინა სოციალიზმმა იგი, კაპიტალიზმის მიერ დაღუპვის კარამდე მიყვანილი. თავისი მაგალითით იგი თავდახსნის გზას უჩვენებს ექსპლოატირებულ კლასებს, იმპერიალიზმის მიერ დათრგუნვილ კოლონიებს, ჩაგრულ ერებს, ეკონომიურად და პოლიტიკურად დამონებულ მცირე სახელმწიფოებს, იმპერიალისტურ ომებში დამარცხებულ ხალხებს, კრიზისის გამო გაღატაკებულ ადამიანთა მილიონებს.

ჩვენ ხომ სულ 18 წელი გვაშორებს ჩვენი ქვეყნის საშინელ წარსულს! რას წარმოადგენენ ეს წლები იმ საუკუნეებთან შედარებით, რომლებიც საჭირო იყო ეკონომიურ წყობათა და პოლიტიკურ ფორმათა შესაცვლელად კაცობრიობის განვითარების ისტორიაში!

1927-28 წლებში ჩვენ ის-ის იყო დავამთავრეთ იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით დანგრეული ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენა და წარმოებაში გადავაჭარბეთ ომამდელ დონის. იმ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ მოიპოვებოდა ხუთი სოციალ-ეკონომიური წყობა. დაწყებული ყველაზე უფრო მოწინავე სოციალისტური წყობით და გათავებული პატრიარქალური წყობით, სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობაში 1928 წელს 44 პროცენტს შეადგენდა. სოფელში გაბატონებული მოვლენა იყო წვრილსასაქონლო, დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობა. კულაკობა მაღლა სწევდა თავს და ცდილობდა პურის დამზადების საბოტაჟით ჩაეშალა სოციალისტური მშენებლობა. კაპიტალისტური ელემენტები ქვეყნის შიგნით წარმოადგენდნენ მტრული იმპერიალისტური გარემოცვის სოციალურ დასაყრდენს.

ლენინის კითხვა „ვინ ვის" მთელი სიგრძე-სიგანით დადგა პარტიისა და მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე.

უნდა გაგვეკეთებინა არჩევანი განვითარების ორ გზას შორის: **ან უკანდახევა**, რომელსაც კაპიტალისტური რესტავრაციისაკენ მივყავდით, **ან შეტევა**, რომელსაც მივყავდით და კიდეც უნდა მივეყვანეთ სოციალიზმის გამარჯვებამდე.

ლენინმა და სტალინმა, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ზრდიდნენ, სწრთვიდნენ, და ასწავლიდნენ ჩვენს პარტიას, მოამზადეს იგი ამ გადამწყვეტი არჩევანისათვის. ამაზე ცოტა ადრე პარტიამ ამხ. სტალინის მეთაურობით ტროცკისტთან და ზინოვიევურ-ტროცკისტულ ბლოკთან ცხარე ბრძოლაში დაიცვა ლენინურ-სტალინური დებულება სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ (ტაში).

პარტიას არსებითად მოუხდა ჩაეჭრო ამბოხი წვრილი ბურჟუაზიისა, რომელსაც არ სურდა სოციალისტური რევოლუციის განვითარება და ეშინოდა მისი. 1928 წელს პარტიის წინააღმდეგ იერიში მიიტანეს მემარჯვენე ოპორტუნისტებმა, რომელთა პირით კულაკური სტიქია ლაპარაკობდა.

ჩვენი ქვეყანა მიჰყავდა სტალინის გენიას, მუშათა კლასის გენიას.

პარტიამ აირჩია კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ **მთელი ფრონტით გაშლილი შეტევის გზა.** ეს იყო სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის გზა, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის გზა.

პარტიის გენერალურმა ხაზმა, მიმართულმა მთელი ფრონტით გაშლილი შეტევისაკენ, თავისი კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა ხუთწლიან გეგმაში, რომლითაც პროლეტარული დიქტატურის პირველი ქვეყანა საძირკველს უყრიდა უდიდესი სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტას; ეს ამოცანა იყო — დავეწიოთ და გავუსწროთ ტექნიკურ-ეკონომიურად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს (ტაში). **და აი აქ იწყება უდიდესი სოციალისტური მშენებლობის გმირული ხანა, რაც იწვევს ჩვენი მტრების გაფთრებას, ჩვენი მეგობრების აღფრთოვანებასა და მთელი მსოფლიოს განცვიფრებას.**

საბჭოთა კავშირი თავისი სოციალისტური მშენებლობის ტემპებით მთელს მსოფლიოს აკვირვებს. სამრეწველო პროდუქციის ზრდა საშუალო პირველ ხუთწლედში ყოველწლიურად 22 პროცენტს უდრიდა, 1934 წელს — 18,3 პროცენტს, 1935 წელს (გეგმით) —17 პროცენტს. ასეთი ტემპები არ ახსოვს არც ერთი კაპიტალისტური ქვეყნის ისტორიას. ნავთის, თუჯის, ფოლადის, მანქანათმშენებლობის, ტრაქტორმშენებლობის და სატვირთო მანქანების წარმოების მხრივ ჩვენ პირველ ადგილზე გამოვედით ევროპის ყველა სახელმწიფოს შორის (ტაში). ჩვენ ვიწყებთ საკუთარი დაზგათმშენებლობის მაღალხარისხოვანი ფოლადების, მოტორების, ტურბინების, გენერატორების წარმოებას, საკუთარი ქიმიური მრეწველობის, საკუთარი ავიომშენებლობის განვითარებას, ვეუფლებით სხვადასხვა ტიპის ურთულესი მანქანების წარმოებას. ჩვენი ქვეყანა იფარება მშენებლობათა ხარაჩოებით, იგი აფეთქებს მთებს, გაჰყავს გვირაბები, მისასვლელი გზები, თხრის არხებს, აგებს კაშხალებს. იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში კვდება მრეწველობა და სავაჭრო ცხოვრება, როცა მუშათა ბევრ დაბაში გამეფებულია სამარისებური სიჩუმე და ადამიანთა მილიონები იძულებული არიან უსაქმოდ იყვნენ, საბჭოთა კავშირში ხალხის ენტუზიაზმის უდიდესი ტალღა სპობს ყოველგვარ დაბრკოლებას თავის გზაზე და სახეს უცვლის ჩვენს ქვეყანას (ტაში).

ჩვენი მშენებლობა არ მიმდინარეობდა უმტკივნეულოდ, როგორც ეს შეიძლება შორიდან მოსჩვენებოდა კაცს. ჩვენ გვჭირდებოდა ლითონი მშენებლობისათვის, მაგრამ არ გვქონდა; გვჭირდებოდა საშენი მასალა, მაგრამ იგი ძლიერ ცოტა გვქონდა; გვჭირდებოდა ამ საშენი მასალისა და ადამიანთა დიდი მასების ახალ ადგილებზე გადასროლა, მაგრამ ტრანსპორტი სულს ჰლაფავდა. ხელს გვიშლიდა ძველი რეჟიმისგან, მემკვიდრეობით მიღებული ძველი რუსული დაუდევრობა საუკუნეობრივი მცონარეობა, ბიუროკრატიზმი. კლასობრივი მტერი კი იყენებდა გამოუცდელი ახალგაზრდა კადრების ყოველ შეცდომას, ადგენდა გაბერილ ხარჯთაღრიცხვებს, ჰრევდა გეგმებს, წარადგენდა განზრახ უვარგის პროექტებს, აფუჭებდა მანქანებს, აწყობდა ხანძრებს, აფეთქებას, აფუჭებდა ძვირფას მოწყობილობას.

ამ წლების განმავლობაში მთელი ჩვენი ქვეყნის კუნთები და ნერვები დაჭიმული იყო როგორც მაგრად გაბმული ბაგირი. ჩვენ მხოლოდ ჩვენი მშენებლობით ვცოცხლობდით. ყველაფერი ერთ მიზანს ემორჩილებოდა — დიდ სამუშაოთა გეგმის შესრულებას, რომელიც დასახული ჰქონდა ჩვენს პარტიას და ქვეყანას; ეს იყო ქვეყნის მთელი მატერიალური სახსრების დაძაბვა, ადამიანთა მობილიზებული ნებისყოფა, ადამიანთა ორგანიზებული ენერგია, ბოლშევიკური ენერგია და მიზანსწრაფვა. იგი, ეს მიზანი, გვიკარნახებდა ჩვენი ხალხის შეკვეცილ საარსებო დონეს. ჩვენი საუკეთესო ადამიანები — ძერჟინსკი, კუიბიშევი დაიწვნენ სამუშაოზე, ათევდნენ რა უძილო ღამეებს სამეურნეო აღრიცხვათა შედგენაზე.

ყველას როდი შეეძლო აეტანა ეს სოციალისტური შეტევა, რომელიც ჩრდილავდა ყველა დროისა და ყველა ხალხის ლაშქრობას. ყოველივე მხდალი, თავისმოყვარული, საძაგელი, დამპალი გვშორდებოდა წინსვლის დროს, წუწუნებდა, სჩიოდა, სთესავდა ურწმუნოებას, გვწინასწარმეტყველებდა დაღუპვას, იზიარებდა მსოფლიო კაპიტალის გაბოროტებულ სიძულვილს სოციალიზმის გამარჯვებისადმი; ზინოვიევ-ტროცკისტული ბლოკის ბილწმა, საზიზღარმა, საძაგელმა პოლიტიკურმა დეგენერატებმა მოგვიკლეს ჩვენი მეგობარი, მთელი პარტიის საყვარელი, ბაქოს, ლენინგრადის და ხიბინის გამარჯვებათა ორგანიზატორი ს. მ. კიროვი (ყველა დელეგატი ფეხზე დგება).

მაგრამ მძლავრი ტალღა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავდა სტალინის რკინისებურ, შეუდრეკელ ნებისყოფას, წინ მიექანებოდა. იგი იპყრობდა კაპიტალიზმის უკანასკნელ სიმაგრეებს ჩვენს ქვეყანაში, ატარებდა რა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას კოლექტივიზაციის საფუძველზე. იქ, სადაც 25 მილიონი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა იყო, მან შექმნა 250 ათასი კოლმეურნეობა, 5 ათასი საბჭოთა მეურნეობა, 4 ათასზე მეტი სამანქანო-სატრაქტორო სადგური, რაც სახელმწიფოს 9 მილიარდ მანეთზე მეტი დაუჯდა. იქ, სადაც მუშაობდნენ კავი და ზამთრის შიმშილობით გაძვალტყავებული ლურჯა, მუშაობს 300 ათასი ტრაქტორი, 50 ათასამდე კომბაინი, 35 ათასი საბარგო ავტომობილი. კოლმეურნეებმა 1934 წელს მოგვცეს 1 მილიარდი ფუთით მეტი სასაქონლო პური, ვიდრე იმავე ღარიბმა და საშუალო მეურნეობებმა კოლექტივიზაციის ჩატარებამდე. ბოლო ეღება ჩვენი სოფლის მეურნეობის მუდმივ ჩამორჩენას მრეწველობის ზრდის ტემპებისაგან.

1928 წელს ჩვენ მხოლოდ დავიწყეთ პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულება. დღეს ჩვენ არა მარტო შევასრულეთ იგი 4 წელში, არამედ წარმატებით ვასრულებთ მეორე 5-წლიან გეგმას. 1928 წელს მსოფლიო ბურჟუაზია და მისი აგენტურა — საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის რეაქციული ნაწილი — იმედოვნებდნენ გლეხთა ხელით ბოლო მოეღოთ სოციალიზმისათვის და აღედგინათ კაპიტალიზმი. დღეს გლეხების დაკოოპერებულმა ხელებმა მუშათა კლასის ხელმძღვანელობით ბოლო მოუღეს კაპიტალიზმს სოფლად და მით უზრუნველჰყვეს სოციალიზმის გამარჯვება.

1928 წელს ჩვენ იძულებული ვიყავით პურის ბარათები შემოგვეღო. დღეს ჩვენ გავაუქმეთ პურის ბარათები, დღეს ჩვენს ქვეყანაში პურის პრობლემა გადაჭრილია. 1928 წელს კულაკმა წამოჰყო თავი და მოისურვა სოციალიზმის განადგურება, დღეს სოციალიზმმა საბოლოოდ გაანადგურა კულაკი. 1928 წელს ბურჟუაზიას იმედი ჰქონდა, რომ სსრ კავშირში მოხდებოდა კაპიტალისტური გადაგვარება და მსოფლიო კაპიტალი მოახერხებდა ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტურ ელემენტებთან დაკავშირებას. დღეს კაპიტალისტური გადაგვარება კი არ ემუქრება ჩვენს ქვეყანას, არამედ კაპიტალისტური გადაშენება ელის (იმ ქვეყნებს, სადაც ჯერ კიდევ ბურჟუაზია ბატონობს, დღეს გამარჯვებული სოციალიზმი უფრო მჭიდროდ უკავშირდება მუშათა მსოფლიო მოძრაობას; დღეს დაიწყო არა სოციალიზმის მზის ჩასვენება და კაპიტალიზმის მზის ამობრწყინება, როგორც თეთრგვარდიელი ტროცკი ამტკიცებდა, არამედ დაიწყო სოციალიზმის მზის ამობრწყინება და კაპიტალიზმის მზის ჩასვენება, როგორც ჩვენი პარტია ამტკიცებდა (ტაში). 1928 წელს ლენინის კითხვა „ვინ ვის" არ იყო გადაჭრილი ჩვენს ქვეყანაში. დღეს იგი გადაჭრილია საბოლოოდ და სამუდამოდ სოციალიზმის სასარგებლოდ. 1928 წელს ჩვენ გვქონდა რეკონსტრუქტიული პერიოდის სიძნელენი, დღეს ჩვენ გადავლახეთ ეს სიძნელენი, ჩვენ დაგვრჩა სიძნელენი, რომლებიც დაკავშირებულია კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევასთან ადამიანთა შეგნებაში, კითხვის — „ვინ ვის" გადაჭრასთან საერთაშორისო ასპარეზზე (ტაში).

ახალი ხანა სოციალისტური ქვეყნის განვითარებაში

სოციალიზმის გამარჯვებამ საბჭოთა კავშირში შექმნა მასების მატერიალური კეთილდღეობისა და მათი კულტურული დონის ისეთი ზრდის პირობები, როგორიც მსოფლიოში არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას არ დასიზმრებია. ჩვენ მხოლოდ ახლა შეგვიძლია მთელი **სიგრძე-სიგანით დავაყენოთ ჩვენს წინაშე და ყველა ჩვენი ზრახვისა და საქმის ცენტრში მოვაქციოთ ადამიანზე ზრუნვა.** ადამიანი — ისტორიის ნაკელი კი არ არის, როგორც ამას ფაშიზმი აღიარებს, ადამიანთა მასა — იმ ფაშისტური კაპრალის მათრახის ობიექტი კი არ არის, რომელსაც თავისი თავი ნიცშეს ზეადამიანად წარმოუდგენია. ადამიანი — ეს არის სოციალიზმის შემოქმედი, ახალი საზოგადოებრივი წყობილების შემქმნელი. ადამიანს ისტორიაში პირველად მიენიჭა თავისი ადგილი (ტაში).

შევუქმნათ საბჭოების ქვეყნის ადამიანებს შეძლებული, კულტურული, ჯანსაღი სასიხარულო და ბედნიერი ცხოვრება — „ამ საკითხზე დაჟინებით მუშაობს ამჟამად მთელი ჩვენი პარტია" და ჩვენი ქვეყანა.

დღეს ჩვენ უკვე გვაქვს დიდი მიღწევები მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული დონის რადიკალურად გაუმჯობესების საქმეში.

ჩვენმა ქვეყანამ არ იცის, თუ რა არის უმუშევრობა და მას იგი არც ეცოდინება (ტაში). მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი 1928 წლიდან ჩვენში ერთიორად და კიდევ მეტად გაიზარდა, შრომის ხელფასის ფონდი ხუთჯერ და კიდევ მეტად გადიდდა და ეს იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში შრომის ხელფასი 40—50 პროცენტით დაეცა.

ჩვენში არ ხდება სოფლის გაღატაკება. ჩვენმა გლეხმა არ იცის, თუ რა არის აგრარული კრიზისი.

თვალსაჩინოდ მატულობს მშრომელთა კულტურული დონე.

საბჭოთა კავშირის დაწყებითსა და საშუალო სკოლებში სწავლობს 25 მილიონზე მეტი კაცი და მუშაობს 600 ათასი მასწავლებელი. ექვსი წლის განმავლობაში საშუალო სკოლის მოსწავლეთა რიცხვი ერთიათად გაიზარდა. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ამჟამად 1 მილიონი 300 ათასი მოსწავლე ირიცხება.

აბა, გადახედეთ ჩვენს წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების პროდუქციას. ლენინის, სტალინის, უდიდესი პროლეტარული მწერლის მ. გორკის თხზულებანი ათეულ მილიონობით ვრცელდება. ყოველი მეცნიერული წიგნი ჩვენში 50 ათასობით გამოდის. ყველა გაზეთის საერთო ტირაჟი 1928 წლის 8,8 მილიონიდან 1934 წელს 38,5 მილიონამდე გაიზარდა. და ჩვენში წიგნი და გაზეთი მაინც ყველაზე უფრო დეფიციტური დარგია, ვინაიდან განუზომლად უფრო სწრაფად და ფართოდ იზრდება ჩვენი კულტურული მოთხოვნილებანი.

საბჭოთა ხელისუფლებამ სიცოცხლე ჩაბერა მთელს ერებს, რომლებიც კაპიტალის ჩაგვრის გამო გადაშენების გზაზე იყვნენ დამდგარი, დახმარება გაუწია მათ შეექმნათ თავიანთი დამწერლობა, დამდგარიყვნენ ფეხზე და როგორც სრულუფლებიანი წევრები შესულიყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრულ ოჯახში.

საბჭოთა კავშირის ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში ვხედავთ სახალხო მეურნეობის და ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის უმაგალითო აღმავლობას.

ჩვენ აქტიურ-პოლიტიკურ და საწარმოო ცხოვრებას დავაზიარეთ მოსახლეობის ისეთი უდიდესი ფენა, როგორიც არიან ქალები. სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს, რომ ფართო გასაქანი მისცეს მშრომელ ქალს საზოგადოებრივი და საწარმოო ცხოვრების ასპარეზზე. ამ მიზნით მას უადვილებენ ზრუნვას შვილებზე — ჩვენში სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებები მომსახურებას უწევენ დაახლოებით 8 მილიონ ბავშვს. მაგრამ ყველა ეს მიღწევა, რა რიგ დიდიც არ უნდა იყოს, მაინც ვერ გვაკმაყოფილებს, ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი მუშა და კოლმეურნე კიდევ უფრო უკეთ ცხოვრობდნენ, რომ ისინი უკლებლივ ყველა შეძლებულნი იყვნენ, რომ საყოველთაო ჰიგიენა, კომფორტი და უკეთესი პირობები ყველას შევუქმნათ, რომ ადამიანი არასოდეს არ დაიღალოს ცხოვრებით და სიცოცხლის სიხარულით (ტაში).

სოციალიზმის სოციალურ-ეკონომიური საძირკვლის აშენების შედეგად მიღწეულია პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოს უდიდესი განმტკიცება. ჩვენ დღესაც ისე, როგორც ოქტომბრის მეორე დღეს, ვრჩებით პროლეტარული დიქტატურის ქვეყნად, მაგრამ საბჭოთა კავშირში სოციალიზმის საბოლოო და სამუდამო გამარჯვებით ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება უმაგალითო სიმაღლეზე აგვყავს. დღევანდელი დღის ჩვენი სახელმწიფო — ეს არის ყველაზე უფრო მყარი, მტკიცე წესრიგის სახელმწიფო, სახელმწიფო სოციალისტური წესრიგისა, რომელიც ემყარება არა სამხედრო კომუნიზმის ეკონომიკას, არამედ გამარჯვებული სოციალიზმის წარმატებით ეკონომიკას (ტაში).

ლენინი ჯერ კიდევ 1918 წელს ამბობდა, რომ „საბჭოები დემოკრატიზმის უმაღლესი ფორმაა, უფრო მეტიც: დემოკრატიზმის სოციალისტური ფორმის დასაწყისი". ჩვენს ქვეყანაში თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლების დამყარების შესახებ, საბჭოების მე-7 ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილება მიღებული ამხანაგ სტალინის ინიციატივით, წარმოადგენს უდიდეს ნაბიჯს იმ სოციალისტური დემოკრატიის განხორციელების გზაზე, რომლის შესახებაც ლენინი ლაპარაკობდა.

რათ გადავდგით ეს ნაბიჯი?

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ განმტკიცდა პროლეტარული დიქტატურა, ამავე დროს პროლეტარული დემოკრატიის შემდგომი განვითარება თავის მხრივ კიდევ უფრო განამტკიცებს პროლეტარულ დიქტატურას.

მეორე, იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრების ნაცვლად დამკვიდრდა სოციალისტური საკუთრება, მაგრამ პროლეტარული დიქტატურის შემდგომი განვითარება თავის მხრივ მასების შეგნებაში განამტკიცებს საზოგადოებრივი საკუთრების ხელშეუხებლობას და დაურღვევლობას, ხელს უწყობს კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევას ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში.

მესამე, იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირში მოხდა სოციალური ძვრები, რომლებიც საბჭოთა ქვეყანას უადვილებენ უკლასო სოციალისტურ საზოგადოებაში გადასვლას.

ახლა ჩვენს ქვეყანაში ადამიანთა უდიდესი მასები საბოლოოდ და სამუდამოდ შემობრუნდნენ სოციალიზმისაკენ.

პროლეტარული დიქტატურის შემდგომი გაშლა თავის მხრივ ხდება სოციალისტურ მშენებლობაში ახალ ფენათა ჩაბმის იარაღად, ადამიანთა სოციალისტურად აღზრდის, ადამიანის შეგნების გარდაქმნისა და ამ შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევის იარაღად.

სოციალისტურ მშენებელთა წრის გადიდებასთან ერთად, პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოს სოციალური ბაზისის შემდგომ გაფართოებასთან ერთად მტკიცდება ამ სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობაც იმ დაუძინებელ მტერთა წინაშე, რომლებიც მას გარს ახვევიან.

წითელმა არმიამ, როგორც პროლეტარული სახელმწიფოს დაცვის ორგანომ, თავის განვითარებაში გამოჰხატა ის უდიდესი გზა, რომელიც საბჭოთა ქვეყანამ და საბჭოთა ხალხმა განვლეს. სამუდამოდ წავიდა ის დრო, როცა ახალგაზრდა და თითქმის უიარაღო საბჭოთა ხელისუფლებას უფრო თავისი ენთუზიაზმით და უდიდესი მსხვერპლის! გაღებითა და ტანჯვით, ვიდრე სამხედრო ტექნიკით, უნდა მოეგერიებინა თოთხმეტი კაპიტალისტური სახელმწიფოს ბანდიტური თავდასხმა. ჩვენი წითელი არმია პირველი ითვისებს, ისისხლხორცებს და თავისი არსი თავისებური საუცხოო შენადნობივით გამოჰხატავს ყველა ჩვენს ტექნიკურ-ეკონომიურ და სოციალურ გარდაქმნას, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა და მეურნეობის ყველა დარგის მიღწევებს. უკლასო საზოგადოების გზით საბჭოთა ქვეყნის წინსვლასთან ერთად წითელი არმიაც უფრო და უფრო მეტად ხდება ჩვენი სოციალისტური რესპუბლიკის ყველა ხალხის სოციალურად ერთგვაროვანი მებრძოლი ორგანიზაცია.

წითელი არმია, რომელიც გამოსულია ხალხიდან, ემსახურება ხალხს და იცავს მის ინტერესებს, — წახალისებული ხალხთა მასების მზრუნველობით და სიყვარულით, აღფრთოვანებული მშრომელი კაცობრიობისათვის სამსახურის გაწევის უდიდესი მიზნებით, ღირსეულად, სახელოვნად და სიამაყით სდგას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ციხე-სიმაგრის სადარაჯოზე (ტაში).

შეეძლო თუ არა ყველა ამ პროცესს, რომლებიც საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ხდება, არ მოეხდინა გავლენა ჩვენს პარტიაზე, რომელიც ამ გამარჯვების ორგანიზატორი იყო? ჩვენს პარტიას არა მარტო მიჰყავდა მასები ამ გამარჯვებებისაკენ, არამედ იგი თვითონაც იზრდებოდა, იბრძმედებოდა, პოლიტიკურად მჭიდროვდებოდა, აჭერთიანებდა თავის კავშირს მასებთან სოციალისტური მშენებლობის პროცესში. ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის კონკრეტულობა უზრუნველჰყოფდა ჩვენი კადრების ზრდას, ყველივე იმის სწორად შერჩევას, რაც კი ნიჭიერი მოიპოვება მუშათა კლასში; მკაცრი თვითკრიტიკა ხელს უშლიდა მოდუნებას და თვითკმაყოფილებას. ხელს უწყობდა ჩვენს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკთა შემდგომ სრულყოფას.

ამასთან ერთად ჩვენი პარტია ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ამ წლებში იზრდებოდა მკაცრ ბოლშევიკურ შეურიგებლობაზე ყოველგვარი გადახრისადმი იმ ცდებისადმი, რომლებიც მიმართული იყო იქითკენ, რომ გადაეტანათ პარტიაში უცხო და მტრულად განწყობილი კლასების გავლენა, გადაეყვანათ იგი სოციალიზმისათვის ბრძოლის გზიდან კაპიტალისტური გადაგვარების გზაზე. წარსულში ჩვენი პარტიის რიგების მთლიანობის შერყევას ცდილობდნენ ტროცკისტებიც, ზინოვიეველებიც და მემარჯვენე ოპორტუნისტებიც. დღეს ყველა ეს ოპოზიცია სასტიკად დამარცხებულია. ზინოვიევურ-ტროცკისტული ბლოკი გადაგვარდა უბადრუკ ბანდად, ფაშისტური ტერორისტებისა, რომელთა კონტრრევოლუციური ბუნება ამჟამად აშკარაა მშრომელთა მილიონებისათვის. მასების წინაშე მხილებულ და გამოაშკარავებულ იქნა მემარჯვენე-კულაკური გადახრის ნამდვილი სახე.

დღეს ბოლშევიზმი — მარტო პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა როდია, იგი — მძლავრი სახალხო მოძრაობაა. იგი გასცილდა პარტიის ჩარჩოებს, იგი ხდება ჩვენი ქვეყნის უფართოესი მასების მსოფლშეგრძნობად.

ეს მასები, რომლებიც პარტიულ ბილეთს არ ატარებენ, უკვე ფიქრობენ ჩვენი პარტიის აზრებით, ლაპარაკობენ ბოლშევიკური ენით, მათ ჰსურთ იმოქმედონ ისე, როგორც ბოლშევიკებმა. ჩვენს პარტიას უფრო და უფრო ემატება უპარტიო ბოლშევიკთა ფენა, რომლებზედაც ლაპარაკობდა ამხ. სტალინი თავის უკანასკნელ სიტყვაში.

ამავე დროს პროლეტარული დემოკრატიის გაშლა, მშრომელთა პოლიტიკური და კულტურული ზრდა, ჩვენი ხალხის უდიდესი ფენების მოქცევა პარტიის გავლენის ქვეშ უფრო გაძლიერებულ მოთხოვნებს უყენებენ კომუნისტებს, როგორც მასების წინამძღოლებსა და ორგანიზატორებს. არ კმარა მარტო აგიტაცია პარტიის გენერალური ხაზისათვის. პარტიული სტაჟი და რევოლუციური დამსახურებანი თუმცა უაღრესად კარგი საქმეა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი იმ მასისათვის, რომელიც სოციალისტური მშენებლობის" საქმით აგიტაციას ეწევა სოციალიზმის სასარგებლოდ. კომუნისტს რომ ავტორიტეტი ჰქონდეს უპარტიო ბოლშევიკთა ამ მასაში, მან უნდა მოგვცეს უფრო მაღალი მაჩვენებლები სოციალიზმის საქმის ერთგულებისა, თავისი იდეურ-პოლიტიკური დონისა და მისთვის ჩაბარებული საქმის ტექნიკის დაუფლების ხარისხის მხრივაც.

დამარცხებული კლასობრივი მტრის ნაშთების არსებობა, კაპიტალიზმის ნაშთები ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში, კაპიტალისტური გარემოცვა დაჟინებით მოითხოვენ კომუნისტებისაგან გამოიჩინონ ყოველდღიური კლასობრივი სიფხიზლე, მით უფრო მეტი, რომ ხალხთა უდიდესი მასების შემობრუნებას სოციალიზმისაკენ შეუძლია წარმოშვას ილუზიები, რომ კლასობრივ ბრძოლას სამუდამოდ მოეღო ბოლო, რომ დამარცხებული კლასობრივი მტერი მორჩილებით შეურიგდება თავის ბედს, რომ ჩვენი პარტია მომავალში დაზღვეულია გადახრებისაგან. ამხ. სტალინი არაერთხელ აფრთხილებდა ჩვენს პარტიას, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდა გამოიწვევს მომაკვდავი კლასების წინააღმდეგობას, და სწორედ იმიტომ, რომ კვდებიან და სულთმობრძავნი არიან, ისინი გაათრებით ჩაებღაუჭებიან ბრძოლის ყველაზე უკიდურეს საშუალებებს.

მაგრამ ქვეყანაზე არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ბოლშევიკების პარტიის გატეხვა, არ არსებობს ისეთი სიძნელეები, რომელთაც შეეძლოთ შეარყიონ ერთიანობა ჩვენი პარტიის რიგებისა, რომლის მონოლიტობაც უზრუნველყოფილია არა მარტო მისი გენერალური ხაზის სისწორით, არამედ ჩვენი ქვეყნის სოციალური შემადგენლობის ერთგვაროვნობითაც და ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი უმეტესობის ინტერესთა ერთიანობის განხორციელებითაც.

ასეთია საბჭოთა კავშირში სოციალიზმისთვის ბრძოლის შედეგები. ეს შედეგები დიდ გავლენას ახდენენ, ახლა მთელ საერთაშორისო ცხოვრებაზე, ვინაიდან ისინი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის განვითარების ახალ ეტაპს ჰქმნიან.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ქრონიკა

23 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის 13) შედგება ქართველ საბჭოთა მწერლების შეხვედრის საღამო ლენინგრადელ მწერლებთან. სიტყვებით თავიანთი მუშაობის შესახებ საქართველოში, აგრეთვე საკუთარი ნაწარმოებთა კითხვით გამოვლენ ლენინგრადელი მწერლები: ამხ. ამხ. გორუვი, საიანოვი, შვარცი, გერმანი, ლევინი და შტეინი.

საღამოში მონაწილეობას მიიღებს მწერალთა აქტივი. შესვლა თავისუფალია.

ოქტომბერი
5, 7, 9, 11
დამკვრელი (საბ. საზამთ.)
7-30, 9-30 11
ტემპი ახალი [illegible]
8-15, 9-45, 11-15
რ. ლიუქსემბურგის სახ.
5, 7, 9, 11
[illegible] საზაფხ.
9 10-30
„26"-ის კომ. სახ.
7, 8-30, 10
კომინტერნი საზაფხ.
[illegible] 9, 10-15

ხმოვანი ფილმი პეპო
ხვალ 24 აგვ. დამატ. სეანსები დღ. 12 1-30 წ. 3 ს.
ახალი მხატ. ფილმი ფირმის საიდუმლოება
ხმოვანი სურათი გ. სუნდუკიანის კომედიის მიხედვით
პეპო
სცენარი და დადგმა დამსახურებულ [illegible] ა. ბეკ-ნაზაროვისა
ხვალ 24 აგვ ო. ლუქსემბურგის სახ. კინოში
სეანსები 12, 1 30 წ., 3, 5 7, 9, 11.
მხატვრული სურათი ზღვის ქორი
საზამთ — ხმოვანი სურათი — შია პარიზში
საზაფხ. — ადამიანი და ლივრეა
მხატვრული ფილმი ბ ო რ ა

შვილი მინადორა, სიძე მალაქია, შვილიშვილები გოგი, ლეო და სუსანა იუწყებიან მამის, სიმამრის და ბაბუის
ეფრემ ბესარიონის-ძე ორჯონიკიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 აგვისტოს სოფ. ღორეშაში. უფ.

დამწუხრებული შვილები: მარიამი, ვიქტორი, სიძეები ჰიჰიკო, ვლადიმერი, შვილიშვილები: ვოლოდია, ზინა, კატუშა, სონია ქმარშვილით. დისშვილები: ნინა, მიშა, კოტე, ელენე ძმლით ნადიათი იუწყებიან
მელანია პავლეს—ას. სანაია—ბაწერელიას
გარდაცვალებას. გამოსვენება პირველი საავადმყოფოს პროზექტურიდან, 24 აგვისტოს, 5 ს. უფ.

სანდრო, ვერიკო, ნინო, გრიგოლი, ნიკოლოზი, ბაგრატი, მექია, სვეთ ვართანი ოჯახობებით, ნერსესი ბავშვებით სიმონგულოვები იუწყებიან
ნადია ალექსანდრეს —ას. სიმონგულოვის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ჩხარში. 9238

დამწუხრებული მეუღლე მარკოზ ლურჯია შვილებით ივანე, ისიდორე, რძლები: ბაბილინა, დუნია, შვილიშვილები: ნოე, ნინო იუწყებიან მათთვის უსაყვარლესი
ნინო კინწურაშვილი ლურჯიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25 აგვისტოს, ხონის, რაიონის ს. სუხჩაში. 9232

ვალიკო, დოდო, გუგული, შალიკო მგალობლიშვილები თავიანთი ოჯახებით იუწყებიან საყვარელი მამის
ნოე გიორგის-ძე მგალობლიშვილის
გარდაცვალებას ქ. ქუთაისში, დაკრძალვა იქვე, საფიჩხიის სასაფლაოზე, 24 აგვისტოს, 6 ს. 9234

დამწუხრებული და მატრონა, სიძე ვანო შვილებით ქეთო, ნინო, დავითი, თამარი, დარეჯანი ედიგაროვები, შალვა შარაშენიძე ცოლშვილით ძმის და ბიძის
ხაშა სოლომონის-ძე წერეთლის
ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. 9233

დამწუხრებული მეუღლე პელაგია, შვილები: ვახტანგი, თამარი, სპარტაკი აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს მათთვის უძვირფასესი მეუღლის და მამის
ვასილ დავითის-ძე ნაცვლიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 აგვისტოს, ვერის სასაფლაოზე, გამოსვენება ლენინის ქ. № 64. 5 ს. 9237

დამწუხრებული მშობლები: სილიბისტრო და ვასასი, ძმა შალვა, და ლოლა, ლილი, აგრაფინა, ბიძა ვანო ჩიქოვანები იუწყებიან, რომ 24 აგვისტოს 6 ს. დანიშნულია დაუვიწყარი
ვახტანგ სილიბისტროს-ძე ჩიქოვანის
სამოქალაქო პანაშვიდი ქ. ხონში. 9236

მისამართები. რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16. გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34 ტელეფონები რედაქტორის 3—62—26 რედაქტორის მოადგილის 3—63—03. პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, სამდივნოს 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—67—61, სამრეწველო განყოფილების—3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3— 61—81 ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 8019.